ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 11 აგვისტო 2004 №184 (2205) ფასი 50 თეთრი

სადღაა შევარდნაძის და აბაშიძის საჯდომი

კოტა ინასარიძე

პრალიდან

იმედიანი ჩეხი: დინამო დიდი გუნდია, მაპატრიეთ...



გუშინ პრაღის აეროპორტში: მავანი ჩეხი იანი, რომელმაც დინამოელებს ავტოგრაფი სთხოვა

– „დინამო" დიდი გუნდია, 52 წლის ვაცი ვარ და კარგად მახსოვს ყიფიანი, გუცაევი, ჩივაძე, შენგელია... ისიც კარგად ვიცი, რომ საბჭოთა ფეხბურთს თუ ქომაგობდნენ, პირველ ყოვლისა, თქვენებისნაირი ტექნიკური ფეხბურთელების გამო. საქართველოში ოთხჯერ ვიყავი და თქვენი ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემელი ვარ. თუმც, მაპატიეთ... ჩვენი „სლავია" დღესდღეობით თქვენს „დინამოზე" ძლიერი გუნდი მგონია – გვითხრა მავანმა იანმა, რომელიც აეროპორტში დინამოელებს დიდი სიხარულით კი დახვდა, მაგრამ საყვარელი გუნდის უძლეველობაში ეჭვი არ ეპარება...

ლიგა, უეფა, ინტერტოტო ქართული ეპიზოდებით

არველაძის 90, ხიზანიშვილის ყვითელი, მუჯირის გოლი

REUTERS ლისაბონიდან

ბენფიკა — ანდერლეხტი 1:0. ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი ბენფიკელი ტომისლავ შოკოტა (№25) და მბო მპენზა



REUTERS მოსკოვიდან

შოთა არველაძემ ნაჩო ნოვოს გოლი მიულოცა

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი ის ბარიერია, რომლის იქით ჯგუფური ტურნირი და მილიონობით ევროა. შოთა არველაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის „რეინჯერსს" იქ სათამაშოდ ვალერი გაზაევის განწვრთნილი მოსკოველი არმიელები ეცილებიან და გუშინდელი, პირველი მატჩი „ჩერკიზოვოში" მათ მოიგეს 2:1. ჩვენებურებმა შეუცვლელად და რუსული სააგენტოების ცნობით, არცთუ ურიგოდ ითამაშებს. ერთი ეგაა, ჰოლანდიელმა იან ვეგერეეფმა ხიზანიშვილი გააფრთხილა.

მილიონობით ევროს სურვილმა ფიცხი ბრძოლა გააწევინა შვედურ „იურგორდენს", რომელიც 50-ე წუთამდე 2:0-ს უგებდა ტურინში „იუვენტუსს", მაგრამ მილიონების დაკარგვაზე მეტად იტალიელები, ალბათ, თავმოყვარეობამ შეაწუხა და ტრეზეგე-ემერსონის გოლებით საბოლოოდ 2:2 გამოვიდა.

ინტერტოტოს ფინალი კი ის ბარიერია, რომლის იქით უეფას თასის გათამაშებაა. სწორედ იქ მოსახვედრად იბრძვის ლევან კობიაშვილის „შალკე", რომელმაც ჩეხურ „ლიბერეცთან" პირველ საშინაო მატჩში ორბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა — ზაპოტოჩნიმ 75-ე წუთზე ერთი გაქვითა. ხოლო უეფას თასზე მოთამაშე ბულგარული ცსკა „ომონიასთან" მარცხისგან ამირან მუჯირმა იხსნა — მან კვიპროსელებს 79-ე წუთზე გაუტანა.

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
III საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ცსკა (რუსეთი) 2:1 რეინჯერსი (შოტლანდია)
1:0 ვაგნერი (4), 1:1 ნოვო (37), 2:1 იაროშიკი (46)
რეინჯერსი: შ. კლოსი, რიკსენი, ხიზანიშვილი, ბუმსონგი, ვინალი, ა. რაე, ნოვო, ლოვენკრანდსი (ს. ტომპსონი 83), მორის როსი, ბრეველაძე, პრსო
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: პრსო, ხიზანიშვილი, რიკსენი, ნოვო, რაე
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
18 000 მაყურებელი

დინამო (უკრაინა) 1:2 ტრაბზონსპორი (თურქეთი)
1:0 ვერპაკოვსკისი (21), 1:1 კარადენიზი (34), 1:2 იატარა (65)

პაოკ (საბერძნეთი) 1:2 მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
0:1 ი. ადო (13), 0:2 მესიკა (43), 1:2 იასემაკისი (50)

გრაცერი (ავსტრია) 0:2 ლივერპული (ინგლისი)
0:1, 0:2 ჯერარდი (22, 79)

बენფიკა (პორტუგალია) 1:0 ანდერლეხტი (ბელგია)
1:0 ზაპოვიჩი (12)

იუვენტუსი (იტალია) 2:2 იურგორდენი (შვედეთი)
0:1 ა. იოჰანსონი (45პ), 0:2 ჰისენი (49), 1:2 ტრეზეგე (50), 2:2 ემერსონი (59)

უეფას თასი 2004-2005
II საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ომონია (კვიპროსი) 1:1 ცსკა (ბულგარეთი)
1:0 კოზლეი (57), 1:1 მუჯირი (79)
ცსკა: ი. ივანოვი, ზაბავნიკი, ვირბანოვი, იანჩევი, ზაფიროვი, გიორგოვი (იანევი 70), ე. იორდანოვი, ცახა, აიანდა (ა. მუჯირი 46), საკალიევი (ხაზუროვი 70), დიმიტროვი
მწვრთნელი: ფერარიო სპასოვი
მსაჯი: პოლ მაკკეონი (ირლანდია)
16 000 მაყურებელი

პაშინგი (ავსტრია) 3:1 ზენიტი (რუსეთი)
0:1 კაფკასი (10ს.კ.), 1:1 გლიდერი (16პ), 2:1 მაირლები (35), 3:1 გლიდერი (85პ)

ბუდუჩნოსტი (სერბეთი) 1:2 მარიბორი (სლოვენია)
1:0 ჟ. მილოშევიჩი (22პ), 1:1 ბერშნიაკი (38), 1:2 ტეინოვიჩი (76)

ინტერტოტოს თასი 2004
ფინალი. პირველი მატჩები

შალკე (გერმანია) 2:1 ლიბერეცი (ჩეხეთი)
1:0 აილტონი (26), 2:0 ასამოა (42), 2:1 ზაპოტოჩნი (75)
შალკე: ფ. როსტი, კლასენერი, ბორდონი, კრსტაიჩი, უდე კამპუისი, ლინკოლნი, ვერმანტი, პანდერი (ჰამიტ ალტინტოპი 68), კობიაშვილი, აილტონი, ასამოა (ჰანკე 73)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)
55 000 მაყურებელი

ლილი (საფრანგეთი) 0:0 ლეირია (პორტუგალია)

ვილიარეალი (ესპანეთი) 2:0 ატლეტიკო (ესპანეთი)
1:0 როხერ გარსია (53), 2:0 გ. როდრიგესი (76)

ინგლისი

ჩემპიონატი. II ტური

ბრაიტონი 0:2 პლიმუთი
კარდიფი 2:1 ძოვენთრი
ჯილინგემი 2:1 ლიდსი
მილუოლი 0:2 უიგანი
შეფილდ იუნ 0:0 სტოკი
როტერჰემი 0:0 ბარნლი
სანდერლენდი 3:1 ძრიუ
ვესტ ჰემი 1:0 რედინგი

I ლიგა. II ტური

ბარნსლი 2:1 ბრისტოლი
ბლეკპული 1:2 შეფილდ უენსდი
ბორნმუთი 2:2 უოლსოლი
ბრედფორდი 2:2 პიტერბრო
ბრენტფორდი 4:3 დონკასტერი
კოლჩესტერი 3:2 სტოკპორტი
ჰადერსფილდი 0:0 ჩესტერფილდი
ოლდემი 2:3 რეძსემი
ტორკი 0:3 ჰალი
ტრანმერი 2:1 ჰარტლპული
პორტ ვეილი 3:2 დონსი

II ლიგა. II ტური

როვერსი 2:2 ბერი
კემბრიჯი 1:1 ლეიტონი
ჩელტენემი 0:2 სკანთორპი
ჩესტერი 0:2 უიკომბი
გრიმსბი 1:1 ბოსტონი
კიდერმინსტერი 0:0 ნოტსი
მაკლსფილდი 2:1 შრიუსბერი
ნორთჰემპტონი 1:0 რაუდენი
როჩდეილი 0:2 სუონსი
იოვილი 1:1 დარლინგტონი
ლინკოლნი 1:1 საუთენდი

რუსეთი

თასის 1/16 ფინალი
საპასუხო მატჩები

კამაზი 1:3 *სატურნი* (0:3)
ტორპედო 2:0 დინამო (მრ) (2:0)
როსტოვი 2:1 სოდოვიკი (2:1)
დინ. მახაჩყალა 0:3 *დინამო (მ)* (0:2)
მეტალურგი (ლ) 1:1 სპარტაკი (მ) (2:0)
რუბინი 3:0 ლოკომოტივი (ჩ) (0:1)
ყუბანი 3:1 ტომი (1:1)
ალანია 5:2 არსენალი (0:0)
შინიკი 4:0 სკა-ენერგია (0:3)

ამხანაგური მატჩი

სელტიკი 2:0 ტოტენჰემი

შოტლანდია

ლიგის თასი. I ეტაპი

ბრეჩინი 5:2დ.დ.(2:2) კუუდენგითი
დამბარტონი 1:3 *როსი*
პიტერჰედი 3:2 ისტ სტირლინგი
სენტ მირენი 2:5 *ფორფარი*
სტენჰაუზმური 2:1 არბროთი
სტრანრარი 2:1 რეითი
ერდრი 3:0 ისტ ფაიფი
პერვიკი 3:2 ელგინი
სენტ ჯონსტონი 2:3 *ალოა*
ფოლკირკი 4:1 მონტროუზი
მორტონი — *ბრეტნა* გადაიდო
ძუინი — ალბიონი *გადაიდო*
ჰამილტონი — ეარი *გადაიდო*

უეფას თასი 2004-2005
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

ძოგა ინასარიძე

პრაღიდან

პრაღა 12 აგვისტო. 21 საათი. სტრაჯოვი

სლავია — დინამო

დინამო დიდი გუნდია, მაგრამ...

დინამოელები შოთა გრიგალაშვილი და კახა ალადაშვილი პრაღის აეროპორტში

საინტერესო დამთხვევაა — თბილისის „დინამო" ბორისოვში, ბატესთან სათამაშოდ საქართველოს პრეზიდენტყოფილის, ედუარდ შევარდნაძის იმ თვითმფრინავით გაფრინდა, რომელიც ავიაკომპანია „თბილავიამშენს" ეკუთვნოდა. ახლა „დინამო" პრაღაში იმ იაკ 42-მა ჩამოფრინა, რომელიც ავიაკომპანია „აჭარას" ეკუთვნოდა და რომლითაც ასლან აბაშიძე სარგებლობდა ხოლმე. ახლა ეს თვითმფრინავიც „თბილავიამშენის" ყოფილა...

თბილისიდან პრაღისკენ ფრენა შევარდნაძის მერე აბაშიძის მმართველობის დამხობაზე მეტად გაჭიანურდა. ჯერ იყო და, თვითმფრინავში საწვავის ჩახხმას არ დაადგა საშველი და დაგეგმილზე საათნახევრით გვიან აფრინდა ლაინერი, მერე იყო და, ამ ნაქებმა იაკმა ჰაერში ისეთი „ცრუმოძრაობები" დაიწყო, მგზავრთა ნახევარს ლამის გული წაუვიდა.

მოკლედ, პრაღაში „დინამო" მშვიდობით, აქაური დროით თერთმეტის ნახევარზე დაეშვა და ქალაქის ცენტრში, თუმც მყუდრო უბანში მდებარე სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" დაბინავდა. ცხელ-ცხელი ამბების მოწოდებას ცაიტნოტის გამო ვერ ვახერხებ, მაგრამ რისი გაგებაც მოვახერხე, იმას კი გეტყვით: „დინამო" პრაღაში ბორისოვის მსგავსად ოცი ფეხბურთელით ჩამოვიდა. შემადგენლობაში ისევ სამი მეკარეა — ზოიძე, მამალაძე, თოთლაძე. ჩეხეთში არ არიან ტრავმირებულები — ახალაია და რომერო. სათუოა კვირკველიასა და ჭიჭვეიშვილის თამაში. როგორც გუნდის ექიმმა დიმიტრი ზაალიშვილმა გვითხრა, ჭიჭვეიშვილის ხვალამდე მომჯობინების შანსი უფრო დიდია, ვიდრე კვირკველიასი. „დინამოს" ერთ-ერთმა ლიდერმა გუშინ დილით კი ივარჯიშა, მაგრამ კუნთის ტკივილმა ისევ შეაწუხა და ველარ დაიტვირთა.

პრაღისკენ გამოფრენამდე გავესაუბრეთ „დინამოს" მმართველ დირექტორს *დავით ჰეტრიაშვილს:* ბევრ გუნდს შეშურდება ის განწყობა, რაც ახლა „დინამოშია". გუნდი „სლავიას" დასამარცხებლად ემზადება, ვატყობ, რომ ბიჭები თავდაჯერებულები არიან, ეს კი „სლავიას" დონის გუნდთან თამაშის წინ მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორია. „დინამო" ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ „სლავიას" უპირატესობა აქვს. ეგებ, სწორედ ახალგაზრდული ჟინიანობა გამოდგეს გადამწყვეტი...

მერე იყო გზა პრაღისკენ და „დინამოს" მწვრთნელის *გია გეგუჩაძის* სიტყვებიც: „სლავია" სერიოზული მეტოქე კია, მაგრამ არც ჩვენ ვართ წინასწარ განწირულები. კენჭისყრისას მეტოქეებს არ ირჩევენ და რაც ბედმა გვარგუნა, უნდა შევეგუოთ. „დინამო" ყველანაირად ეცდება შემდეგ ეტაპზე გასვლას და ამ მიზნის მისაღწევად ყველა ძალას გამოიყენებს. „სლავიას" ბოლო მატჩს ჩვენი მწვრთნელი ჯემალ მახარაშვილი ესწრებოდა, მან მეტოქეზე ინფორმაცია ჩამოგვიტანა, მაგრამ რა, ახლა ვერ გეტყვით. ამ საღამოს ვნახავთ „სლავიას" ერთ-ერთი მატჩის ფირს და შესაბამისად მოვემზადებით. ისე კი, გეტყვით, რომ „სლავია" ტიპიურ ჩეხურ ფეხბურთს თამაშობს ტაქტიკური სქემით 4-4-2.

თბილისს „დინამოს" კი პრაღაში, ეტყობა, მცოდნე-დამფასებელი არ აკლია. აეროპორტში თბილისის რეისს რამდენიმე ათეული ქომაგი დახვდა და მთელ გუნდს ავტოგრაფები, ვიმპელები, სუვენირები სთხოვეს.

— „დინამო" დიდი გუნდია, 52 წლის კაცი ვარ და კარგად მახსოვს ყოფიანი, გუცაევი, ჩივაძე, შენგელია... ისიც კარგად ვიცი, რომ საბჭოთა ფეხბურთს თუ ქომაგობდნენ, პირველ ყოვლისა, თქვენებისანირი ტექნიკური ფეხბურთელების გამო. საქართველოში ოთხჯერ ვიყავი და თქვენი ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემელი ვარ. თუმც, მაპატიეთ... ჩვენი „სლავია" დღესდღეობით თქვენს „დინამოზე" ძლიერი გუნდი მგონია — გვითხრა მავანმა იანმა, რომელიც აეროპორტში დინამოელებს დიდი სიხარულით კი დახვდა, მაგრამ საყვარელი გუნდის უძლეველობაში ეჭვი არ ეპარება...

დანარჩენი ხვალისთვის იყოს. აქ კი გეტყვით, რომ პრაღა 16 გრადუსიანი ტემპერატურით დაგვხვდა, გრილა და, როგორც აქაურები ამბობენ, ამინდი ხვალ-ზეგაც ასეთი უნდა იყოს. „დინამოს" გუშინ არ უვარჯიშია. გია გეგუჩაძე ბიჭებს „სლავიას" სტადიონზე დღეს, მატჩის დაწყების დროს, შვიდ საათზე ავარჯიშებს.

ნუ შეაწუხებთ ავადმყოფს
აშვეთია უკვე მოსკოვშია



ბადრი ჯეფილაძის ფოტო

გუშინ მიხეილ აშვეთია მოსკოვში დაბრუნდა. რუსეთის თასზე ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან" მძიმედ დაშავებული ჩვენებური ნოვოროსიისკის ჰოსპიტლიდან გუშინ გაწერეს და „ლოკომოტივის" წარმომადგენელმაც მიხო უმალ მოსკოვში გადააფრინა. შეგახსენებთ, რომ მეტოქე ფეხბურთელებთან შეჯახებულ აშვეთიას ექიმებმა ტვინის კონტუზია და შერყევა დაუდგინეს და წოლითი რეჟიმიც გამოუწერეს. ჩვენებურს დროდადრო მეხსიერების დაკარგვაც აღენიშნებოდა, თუმც ახლა ყველაფერმა გაიარა და მიხოც თავს უკეთ გრძნობს.

— საბედნიეროდ, მიხო მძიმე ტრავმას გადაურჩა. ახლახან ველაპარაკე და ნორმალურადაა. ტელეფონით ვერ დაუკავშირდებით, რადგან ეს აკრძალული აქვს. ჩემთან დარეკვა მოუთხოვია და ექიმებმაც ცოტა ხნით დართეს ნება. ერთი ეგ მითხრა, სულ მცირე, სამი კვირა ვერ ვივარჯიშებო — გვითხრა გუშინ მიხოს მამამ ალეკო აშვეთიამ.

ერთი სიტყვით, აშვეთიას რამდენიმე დღე ფეხზე წამოდგომაც არ შეეძლება, მერე კი სიარულის უფლებასაც მისცემენ. რკინიგზული კლუბის ექიმების თქმით, მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმც ვარჯიშის და, მით უმეტეს, თამაშის დაწყებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

კახა ზალამგერიძე

უეფას თასი 2004–2005
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

UEFA CUP

თბილისი 12 აგვისტო. 18 საათი. „ეროვნული“

თბილისი — ლეგია

მაგრად შეინახეს ფირი, რომელიც ძლივს ნახეს

ხვალ, 18 საათზე, „თბილისი“ ეროვნულ სტადიონზე პოლონურ „ლეგიას“ დაუხვდება. ვარშაველები თბილისს დღეს, 14 საათზე ეწვევიან 39-კაციანი დელეგაციით. სტუმრები „შერატონში“ დაბინავდებიან, დაისვენებენ და 18 საათზე „ეროვნულზე“ ივარჯიშებენ. პოლონელებს გულშემატკივართა 30-კაციანი რაზმიც ჩამოჰყვება, ჩვენი კოლეგები კი რვანი იქნებიან.

„თბილისი“ „ეროვნულზე“ მანამდე, 17 საათზე ივარჯიშებს. გუნდმა „ლეგიას“ თამაშის ვიდეოფირი დაგვიანებით, გუშინ მიიღო. როგორც გაირკვა, ამის მიზეზი ფოსტის მუშაკთა დაუდევრობაა. რომ არა პოლონეთის კონსულ ვაცლავ ჩურსკის აქტიურობა, თბილისელებს „ლეგიას“ ვიდეოფირი შესაძლოა, თამაშის შემდეგაც მიეღოთ. თბილისელები „ლეგია“ — „პოგონის“ მატჩს ნახავენ, რომელიც „ლეგიამ“ 2:1 მოიგო. „თბილისი“ უეფას თასის პირველ მატჩს სრულ მზადყოფნაში ხვდება, გუნდს ტრავმირებული ფეხბურთელები არ ჰყავს.

პოლონელები თბილისში ასეთი შემადგენლობით მოემგზავრებიან:

მეკარეები: ბორუკი, კრიშტალოვიჩი; მცველები: ჩოტო, ჯოკოვიჩი, დუდეკი, იუჟვიაკი, პოლედიცა, შალა, ზიელინსკი; ნახევარმცველები: იარუებოვსკი, კარვანი, კოვალსკი, მაგიერა, კილბოვიჩი, სოკოლოვსკი უფროსი, სოკოლოვსკი უმცროსი, სურმა; თავდამსხმელები: საგანოვსკი, ვლოდარჩიკი, დოროში.

„ლეგიამ“ პოლონეთის ჩემპიონატში ორი ტური ჩაატარა. გუნდის ძირითადი შემადგენლობა ორივე შეხვედრაში უცვლელი და ასეთი იყო: *ბორუკი, შალა, ჩოტო, იუჟვიაკი, კილბოვიჩი, მაგიერა, სურმა, კარვანი, სოკოლოვსი უფროსი, ვლოდარჩიკი, საგანოვსკი.*

დავით ერაძე

გვერდში დაგვიდექით და დაგვიდგეს ლეგია

ალაპი დევაძე: ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვას, ისე ვქნათ, კარგი რამ ეთქვას

ხვალ „თბილისს“ სერიოზული გამოცდა და გამომცდელი ელის: უეფას თასზე თამაში და ევროტურნირებზე თამაშს ნაჩვევი „ლეგია“. ზრდის გზაზე მდგარ „თბილისს“ „თავისი ხალხი“ ეროვნულ გუნდშიც ჰყავს და ამათგან ყველაზე გამოცდილ-გამორჩეული მეკარე ალაპი დევაძეა

ბაბრე ალიევაძის ფოტო

— გუნდში საბრძოლო სულისკვეთებაა. ურთულესი თამაში გველის და მზად ვართ, ყველაფერი გავიღოთ მოსაგებად. რატომღაც დარწმუნებულიც ვარ, რომ გავიმარჯვებთ. ასე რომ არ მოხდეს, გავგიჟდები.

— რატომ ხარ დარწმუნებული?

— ალბათ იმიტომ, რომ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, უნდა მოვიგოთ. ეს პირველ რიგში პრესტიჟის საქმეა, რომელსაც მართლაც გაფრთხილება სჭირდება.

— პოლონურმა „ვისლამ“ „ვიტ ჯორჯიას“ შავი დღე აყარა...

— სწორედ ამიტომ უნდა მოვიგოთ, პოლონელები უნდა დავარწმუნოთ, რომ ქართველებმა ფეხბურთის თამაში მათზე ნაკლებად არ ვიცით.

— შენი აზრით, „თბილისს“ რა უპირატესობა აქვს მეტოქესთან?

— ერთი რამ მინდა ხაზგასმით ვთქვა: ჩვენთან ძალიან ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან, ჩემი ხნის კაცს ბავშვებიც კი ეთქმის. ჰოდა, თუ ისინი ფსიქოლოგიურ დაძაბულობას მოერევიან, „ლეგიას“ მოვუგებთ. ბურთის გორება ბიჭებმა მშვენივრად იციან, პოლონელებზე უკეთესადაც. მე მხოლოდ მათი გამოუცდელობა მაფიქრებს, აბა, თავად რისი უნდა მეშინოდეს, 32 წლისა ვარ და ისეთი ვარსკვლავების წინააღმდეგ მითამაშია, კლინსმანი და მისთანანი რომ იყვნენ.

— ევროვნულ ჩემპიონატში „თბილისმა“ ჟინიან-ჯიგრიანი გუნდის სახელი დაიგდო...

— მეც მაგის იმედი მაქვს. რასაც ამ ახალგაზრდებს ვუყურებ, შიში ამათ არ იციან და უკან დახევა.

— როგორ უნდა ითამაშოთ პოლონელების წინააღმდეგ?

— პრესინგი მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე, მათ ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მივცეთ. ვიცი, ძნელი იქნება, მაგრამ „ლეგიაზე“ ორჯერ მეტიც უნდა ვირბინოთ. და, რაღა თქმა უნდა, შეტევა. ეს ხომ ჩვენი კოზირია. პოლონეთში მოთამაშე მამია ჯიქიასაც ველაპარაკეთ. გვითხრა, გამოკვეთილად ძალისმიერი გუნდია, ბევრს დარბიან. თამაში ფიზიკურ გაძლებაზე აქვთ აწყობილი. თუ ფიზიკურად ვერ დაგჩაგრეს, უეჭველად მოუგებთო.

— ასეთმა გუნდებმა ფეხებში დარტყმაც კარგად იციან. ამით ხომ არ დააშინებენ ახალგაზრდა თბილისელებს?

— ოღონდაც ეგ არ გააკეთონ, თორემ... ჩვენებმა ნაკლებად იციან ფეხებში მირტყმა?! გოგუა ეყოფა მთელ მაგათ „ლეგიას“, ეგ თუ დაიქოქა, მერე იკითხონ პოლონელებმა.

— ძალიან იმედიანად ლაპარაკობ...

— ალბათ იმიტომ, რომ ფეხბურთში დავბრუნდი. ვატყობ, ბევრი დავკარგე და ახლა ამ დაკარგულის „ამოღების“ დროა.. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი განწყობით ვარ და რაც მეკუთვნის, იმის მისაღებად ყველაფერს გავიღებ. მგონი, ურიგო ფორმაში არც ახლა ვარ.

— ნაკრებსაც დაუბრუნდი...

— ნელ-ნელა კი მიბრუნდება დაკარგული, თუმც როდესაც პირველი მეკარე გავხდები, მერე ვიტყვი, რომ დაკარგულის აღდგენა შევძელი.

— ახლა ხომ მაინც ყველაფერი შენზეა დამოკიდებული?

— შანსი მეორედ მომეცა და მის ხელიდან გაშვებას ნაღდად არ ვაპირებ. ერთი სათხოვარიც მექნება. „თბილისი“ ძალიან ახალგაზრდული გუნდია და „ლეგიასთან“ ყველასგან მხარადჭერა სჭირდება. განსაკუთრებით გულშემატკივრებისგან თუ იგრძნეს ნდობა, შეიძლება, იმაზე მეტიც გააკეთონ, ვიდრე შეუძლიათ. გულშემატკივარი ჩვენი მეთორმეტე მოთამაშე უნდა გახდეს.

დავით ერაძე

თავისი გიჟმაჟფანობა „ლეგიასაც“ ჰყავს და სტადიონზე დიდი რია-რიაც უდგას

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

პიკზე არ არბიან, პიკზე ადიან

ამერში მიზანი უმაღლესია

საქართველოს ჩემპიონატში უმაღლესი ლიგა ნელ-ნელა ხურდება, პირველ ლიგაში კი სეზონი უქმეებზე უნდა დაიწყოს.

კი უნდა დაიწყოს, მაგრამ საბოლოოდ ჯერაც უცნობია მონაწილეთა ზუსტი რაოდენობა და ვინაობა, შებამისად, განრიგიც. თუმცა უკვე ცნობილია იმ გუნდების ვინაობა, რომლებსაც ამ სეზონში მიზნად უმაღლეს ლიგაში გადასვლა დაუსახავთ და გულმოდგინედაც ემზადებიან კვირას დასაწყები სეზონისთვის.

ამ გუნდთა შორისაა თბილისის „ამერი", რომელიც სამი დღის წინ დაბრუნდა ჩეხური შეკრებიდან. „სარბიელი" იქ ჩატარებული ამხანაგური მატჩების მიმოხილვებს ნარმოგიდგენდათ და ამდენად ლოგიკურია, რომ გუნდის თბილისში დაბრუნების მერე მის მთავარ მწვრთნელს გიორგი ჩიხრაძეს მოსამზადებელ პერიოდში გაწეული მუშაობის თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ

— ახალი სეზონისთვის მზადება, ცხადია, ამ შეკრებით არ დაგვიწყია. ვარჯიში 20 ივნისს თბილისში დავიწყეთ, მერე ბაკურიანში გავაგრძელეთ. ჩეხეთში წასვლამდე ორი კვირა ისევ თბილისში ვემზადებოდით. სულ შვიდი ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ, ერთშიც მეორე შემადგენლობა გამოვცადეთ.

— სანამ ჩეხურ შთაბეჭდილებებზე ვისაუბრებთ, მოდით, ბაკურიანის შეკრება შევაფასოთ...

— იმ დროს ფეხბურთელები შვებულებიდან ახალი დაბრუნებულები იყვნენ და პირველ რიგში ყურადღება ფიზიკური ფორმის აღდგენას მივაქციეთ. ბაკურიანის შეკრებაც ამას დავუთმეთ.

— ანუ „ამერი" სეზონის დაწყებას ოპტიმალურ ფიზიკურ ფორმაში ხვდება?

— მთლად ასე არ არის. სეზონის დაწყებისას სუკეთესო ფორმაში ყოფნას მიზანშეწონილად არ ვთვლი. მუშაობა აქეთკენ რომ მიგვემართა, სეზონის ბოლოსკენ ძალიან გაგვიჭირდებოდა, ფეხბურთელი პიკს აგვისტოში რომ მიაღწევს, მაისამდე, ბუნებრივია, არ გაჰყვება. ამიტომ დატვირთვები ისეთნაირად შევარჩიეთ, რომ სეზონის დაწყებისას გუნდი ნორმალურ ფორმაში იყოს, მაგრამ საუკეთესო ფორმაში ცოტა მოგვიანებით ჩადგეს.

— ჩეხური შეკრებით რამდენად კმაყოფილი ხართ?

— ვარჯიშისთვის საუკეთესო პირობები გვქონდა, სპარინგ-პარტნიორებიც ისეთი გვყავდა, როგორიც გვინდოდა და რაც მთავარია, გუნდს პროგრესი ყოველდღიურად ეტყობოდა. ბაკურიანისგან განსხვავებით, ამ შეკრებისას აქცენტი ტაქტიკური სქემების დამუშავებაზე, მოედანზე ფეხბურთელების მოქმედების სინქრონულობაზე გვქონდა გადატანილი. ეს იოლი ამოცანა არ არის, მით უმეტეს, რომ ამ სეზონისთვის შემადგენლობა მნიშვნელოვნად განახლებული გვყავს, მაგრამ, როგორც ვთქვი, პროგრესი აშკარაა. ამხანაგური მატჩებიდან ყველაზე კარგად ბოლოში, „ბლშანთან" ვითამაშეთ. თავიდან კარგად რომ გვეთამაშა და მომდევნო მატჩებში უარესად, პროგრესზე ვერ ვილაპარაკებდი.

— „ამერმა" ამ ზაფხულს რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა — სულიკო დავითაშვილი, გიორგი დეკანოსიძე... მათ გუნდში უმაღლეს ლიგაში გამოცდილი ფეხბურთელები დახვდნენ. მზადების პროცესით კი კმაყოფილი ხართ. ანუ შეგიძლიათ თუ არა, თქვათ, რომ უმაღლეს ლიგაში გადასვლის გარდა ნებისმიერი სხვა შედეგი თქვენთვის წარუმატებლობა იქნება?

— წინა სეზონში უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვება მიზნად არ დაგვისახავს, მთავარი გუნდის შენება იყო. ცხადია, გუნდის შენება და გაძლიერება მუდმივი პროცესია და ყოველთვის რაღაც იქნება გასაუმჯობესებელი. მაგრამ, ვფიქრობ, ამ ეტაპზე „ამერი" უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის საბრძოლველად მზად არის.

— პირველ ლიგაში გუნდების რაოდენობის თვრამეტამდე გაზრდის პროექტი თქვენთვის მისაღებია?

— რატომაც არა. სეზონის განმავლობაში პირველლიგელებს უმაღლესი ლიგის გუნდებზე ნაკლები მატჩების ჩატარება უწევთ, ევროთასებზეც არ ვთამაშობთ, არადა, გამოცდილების მისაღებად ბევრი მატჩია საჭირო.

— თქვენ გუნდი რეგიონულ ლიგაშიც გეყოლებათ...

— დიახ, ოღონდ ეს ცალკე გუნდი არ იქნება. რეგიონალლიგაში „ამერის" ის ფეხბურთელები ითამაშებენ, რომლებსაც პირველ ლიგაში თამაში იშვიათად მოუწევთ, სათადარიგოთა სკამზე ჯდომით კი ვერაფერს ისწავლიან. ამიტომ ჩავთვალეთ, რომ მათთვის ეს სათამაშო პრაქტიკის და გამოცდილების მიღების კარგი საშუალებაა. ჩვენც მუდმივად შემოწმების საშუალება გვექნება — ვინ როგორ ფორმაშია. სხვაგვარად, როცა ფეხბურთელი მეტწილად სათადარიგოდ გყავს, მხოლოდ ვარჯიშისას დაკვირვება საკმარისი არ არის.

— „ამერი" ამ სეზონში გლდანში, საკუთარ მოედანზე ითამაშებს...

— ეს ძალიან კარგია. წინა სეზონში „ეროვნულზე" რომ ვთამაშობდით, სტადიონის თანამშრომლები ყველანაირ პირობებს გვიქმნიდნენ, მაგრამ საკუთარ მოედანზე თამაში მაინც სხვანაირი შეგრძნებაა. იქ ყველაფერი შენია. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ამერის" ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მოედანზე ჩვენს მატჩებს პატარა ამერელებიც უყურებენ და მეტი სტიმული მიეცემათ — თითოეული მათგანი იგრძნობს, რომ ხვალ-ზეგ, თავდაუზოგავად თუ ივარჯიშებენ, მათაც ექნებათ მთავარ გუნდში მოხვედრის შანსი.

ირაკლი ნინიძე

კარგი იყო ჩეხეთში... მოედნებიც და მეტოქეებიც ჩინებული

რევაზ გოცირიძე შეუჩვეველ ადგილზე

წინა უქმეებზე ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზი", სადაც მე-15 ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი რევაზ გოცირიძე თამაშობს, რომან ახალკაცისა და ზაზა ჯანაშიას „ბალტიკას" მასპინძლობდა. რუსეთის პირველლიგელთა ეს შეხვედრა კამაზელთა 2:1 გამარჯვებით დასრულდა. გოცირიძეს არ უთამაშია, ახალკაცმა 76 წუთი დაჰყო მოედანზე და შემდეგ ჯანაშიამ შეცვალა. გუშინ კი კამაზელებს თასის საპასუხო მატჩი ჰქონდათ პრემიერლიგელ „სატურნთან" და 1:3 დამარცხდნენ. ჩვენთვის საინტერესო კი ის იყო, რომ რევაზ გოცირიძემ რუსული გოლების ანგარიში გახსნა...

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

ქართულ გოლებს ნაჩვევმა რევაზ გოცირიძემ რუსულიც შეაგდო

— „ბალტიკასთან" მწვრთნელმა, იური გაზაევმა არ დამაყენა. ასეთი პრინციპი აქვს — 28 ფეხბურთელი ჰყავს და შანსს ყველას აძლევს. თუმცა სიმართლეც უნდა ვთქვა, წინა ტურის მატჩი, რომელშიც ძირითადში მათამაშა, აშკარად ჩავაგდე.

— და რა გითხრა გაზაევმა?

— გუნდს ჯერ სათანადოდ ვერ შეეჩვიეო. ამას მეც ვატყობ, სულ სხვა ფეხბურთს თამაშობენ, რომელსაც ალღო ჯერ ვერ ავუღე.

— ფიზიკურად ვერ უძლებ?

— არა, ფიზიკურად სწორედაც რომ კარგად ვარ. გაცილებით მეტი მოძრაობაა და გახსნაც სულ სხვა დინამიკაში მიხდება. თანაც ბოლომდე ჯერ ვერც თანაგუნდელებს ვუგებ.

— „კამაზი" მეორე ადგილზეა, ალბათ ახლა პრემიერლიგაზე ფიქრობენ...

— არც მთლად ასეა საქმე. წარმატებული თამაშის მიუხედავად, ჩვენთვის პრემიერლიგაში გადასვლა წლეულს მიზნად არავის დაუსახავს. თუ გადავალთ, კარგია, თუ არა და, არა უშავსო, ამბობენ. გაისად კი ამას აუცილებლად დაგეგმავენ. თანაც შემადგენლობის გაძლიერებაზეც ფიქრობენ.

— „ბალტიკას" ქართველებმა როგორ ითამაშეს?

— რომან ახალკაცი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მართლაც კარგ ფორმაშია და ეტყობა, რომ გუნდის ლიდერია. ჯანაშიაც საკმაოდ მწვავედ შემოვიდა.

— ჯანაშიას ისევ აქვს ზედმეტი წონის პრობლემა?

— როგორც იყო, ისეა, მაგრამ მოძრაობა უჭირს-მეთქი, ვერ ვიტყვი.

— ახლა „სატურნთან" მატჩზეც ვთქვათ...

— გაზაევმა ძირითადის სამი ფეხბურთელი დაასვენა. „სატურნთან" 0:3 გვქონდა წაგებული და შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი, ფაქტობრივად, არ გვქონდა. თანაც 15 აგვისტოს ნალჩიკში „სპარტაკთან" გვაქვს სათამაშო, შემდეგ გროზნოს „ტერეკთან". ეს ორივე თამაში ძალიან პრინციპულია და გაზაევის ასეთი გადაწყვეტილება ლოგიკური იყო. არადა, თამაში წასაგები არ იყო. მომენტები ჩვენ უფრო მეტი გვქონდა. განსაკუთრებით პირველ ტაიმში. მე მეორე ტაიმი სრულად ვითამაშე და ჩემი გოლით ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ ჩვენი მეკარე გამოსვლებზე ორჯერ ისე შეცდა...

— გოლი გაიტანე, თანაც პრემიერლიგის გუნდთან...

— მარცხენა ნახევარმცველმა საჯარიმოსთან დამიგორა ბურთი, მარცხენათი გავისწორე და მარჯვენა ფეხით შორი ცხრიანი გავიტანე. კარგი გოლი გამოვიდა.

— ეს გოლი ალბათ მეტ თავდაჯერებასაც შეგძენს...

— თამაში წინ გაზაევმა მითხრა, მოემზადე, დღეს ორი გოლი უნდა გაიტანო, ეს შენ შეგიძლიაო. ფსიქოლოგიურად მართლაც კარგად ამზადებს ფეხბურთელებს. მეც ახლა უფრო თავდაჯერებული ვიქნები.

დავით ერაძე

ჰაი კლოზეს თავს

ულინსმანი გერმანიის შენებას ავსტრიაში იწყებს

მომავალ ოთხშაბათს იურგენ კლინსმანის სამწვრთნელო დებიუტი შედგება. გერმანია ვენაში ავსტრიელებს ამხანაგურად ეთამაშება. „კიკერთან" ინტერვიუში ბუნდესნაკრების ახალი თავკაცი მიროსლავ კლოზეს თავზე, ხუთი ენის მცოდნე ფლავიო ბატისტასა და ავსტრიელებთან მომავალ მატჩზე საუბრობს

— ახალდაწყებულ ბუნდესლიგაში ყველაზე მეტად რამ მოგხიბლათ?

— სტადიონებზე შექმნილმა განწყობამ და ფანებს შორის მეგობრულმა დამოკიდებულებამ. ბრემენში ვიყავი და მიუხედავად იმისა, რომ შუქი ჩაქრა, საჩხუბრად არავის მოუცლია. ბოლო ათი წლის განმავლობაში გერმანიამ ამ მხრივ საკმაოდ წინ წაიწია.

18 აგვისტოს ამხანაური მატჩისთვის ფეხბურთელები შეარჩიეთ?

— მე და ჩემი თანაშემწე იოაჰიმ ლიოვი სწორედ ამ საკითხზე ვმუშაობთ. 12 აგვისტოს დავასახელებთ შემადგენლობას, რომელსაც ვენაში წავიყვანთ. ეს იქნება ევრო 2004-ზე მოთამაშე გუნდის ერთგვარი გაფართოებული ვარიანტი.

— პორტუგალიაში საშინელი გამოსვლის შემდეგ კვლავ ძველებზე აპირებთ ახალი ნაკრების აწყობას?

— კარი არავისთვის ჩაგვიკეტავს. ჩემი მიზანია მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატისთვის 30-35 კაციანი გუნდის შეკრება, რომლისგანაც ორი წლის განმავლობაში ბირთვი გამოიკვეთება. თითოეულ ფეხბურთელს დაწვრილებით შევისწავლით, შევაფასებთ და საუკეთესოებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვათამაშებთ.

— გასულ შაბათს ლევერკუზენში რუდი ფიოლერს რაზე ესაუბრეთ?

— ფიოლერი ოთხი წელი მუშაობდა ნაკრებში და მისგან ბევრის სწავლა შეიძლება. ჩვენ სამომავლო გეგმებზე ვისაუბრეთ. დეკემბერში აზიაში მივემგზავრებით. ივნისში კონფედერაციის თასზე ვითამაშებთ და გამორიცხული არაა, 2005-ის დეკემბერში სამხრეთ ამერიკასაც ვეწვიოთ.

— თქვენ ფორვარდი იყავით და ნაკრებსაც შემტევ ფეხბურთს ათამაშებთ?

— პირველივე მატჩში ავსტრიასთან თავად დარწმუნდებით, რომ გერმანია კვლავ შეუტევს. რაც შეეხება ტაქტიკას, იგი ფეხბურთელების შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა შევიმუშავოთ და არა პირიქით — ტაქტიკას მოვარგოთ ფეხბურთელები. ჩემი მწვრთნელები ჯოვანი ტრაპატონი, ფრანც ბეკენბაუერი, ბერტი ფოგთსი, ოსვალდო არდილესი, არსენ ვენგერი და ოტო რეჰაგელი სწორედ ასე აკეთებდნენ.

— ოლივერ კანის პირველობა შეურყეველია?

— ბედნიერები ვართ, რომ ოლივე კანისა და იენს ლემანის დარი მეკარეები გვყავს. ორ წელიწადში ტიმო ჰილდებრანდიც გაიზრდება და მათი დონის მეკარე გახდება. ჩვენ სამივეს თავის გამოჩენის თანაბარი შანსს მივცემთ.

— გერმანიის ნაკრებს შეტევაში ძალიან უჭირს. ამ პრობლემას როგორ მოაგვარებთ?

— მოდით, მაგალითად კლოზეს მოვიყვან. მას მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე ისევე უხეიროდ რომ ეთამაშა, როგორც ლატვიასთან ევრო 2004-ზე, სადაც თავით ცარიელ კარს ააცილა ბურთი, გერმანია ფინალში ვერ მოხვდებოდა. ფორვარდისთვის მთავარი სტაბილურობაა. ტომაშ ბრდარიჩმა გასულ შაბათს ორი გოლი გაიტანა, რაც მას საჭირო მუხტს მისცემს. კარგი იქნება, თუ ყველა თავდამსხმელი სანაკრებოდ ასე მოემზადება.

— სად იცხოვრებს იურგენ კლინსმანი?

— შტუტგარტში, მაგრამ ნაკრების ოფისი ფრანკფურტში იქნება. სანაკრებო საქმეებს ჩემი მეგობარი, ხუთი ენის მცოდნე ფლავიო ბატისტა წარმართავს, რომელსაც 15 წელია, ვიცნობ.

— ბუნდესმწვრთნელად თქვენს დანიშვნას ზოგი უგულოდ შეხვდა...

— რა ვიცი, ბრემენში რომ ვიყავი, ხალხი კარგად დამხვდა...

— რუდი ასაუერი ნახეთ? ის ხომ გაკრიტიკებდათ...

— არ შევხვედრივარ. მხოლოდ შორიდან დავინახე, როცა „ვერდერის" სტადიონზე შუქის ჩაქრობის გამო ბრაზობდა. კრიტიკა კარგია, თუ ეს საქმეს წაადგება, მაგრამ უაზრო ლაყბობა არაფერს გვარგებს. 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა თუ გვსურს, ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ.



ხუთშაბათს ვიეირა წავა

ერთთვიანი საგა დასრულდება: ხუთშაბათს პატრიკ ვიეირა „არსენალიდან" „რეალში" გადავა და ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. ამას იტყობინება ესპანური გაზეთი „დიარია ასი". საქმე მაშინ მომთავრდება, როცა „რეალი" ჩემპიონთა ლიგის თამაშიდან, ჯრაკოვიდან შინ დაბრუნდება

თუმცა, გაზეთი იმასაც იტყობინება, რომ „მეთოფენი" და მადრიდელები ჯერაც ვერ შეთანხმებულან საბოლოო ფასზე. „რეალი" 4 წელიწადში 20 მილიონ გირვანქას სთავაზობს „არსენალს", ლონდონელებს კი 23 მილიონი უნდათ და თანაც, 2 წელიწადში.

„არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ვიეირას ამ შაბათამდე მისცა გადასაწყვეტი დრო. გუშინ „მეთოფე" რობერ პირესმა, ვიეირას ახლო მეგობარმა უარყო გავრცელებული ცნობა, თითქოს პატრიკი ნამდვილად მიდის „არსენალიდან". ერთი შოტლანდიური გაზეთის მიხედვით, თითქოს პირესს ეთქვას, მიდის და ყველამ ვიცით რატომაც მიდისო.

ამასობაში კი „არსენალი" სეზონისწინა გუნდურ ფოტოს ვერ იღებს: არავინ იცის, უნდა იდგეს თუ არა ფეხბურთელთა შორის გუნდის კაპიტანი პატრიკ ვიეირა.

ლუის ენრიკემ საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა

„ბარსელონას" ყოფილი კაპიტანი ლუის ენრიკე ფეხბურთთან გამომშვიდობებას აპირებს. მიუხედავად მრავალრიცხოვანი სატრანსფერო შეთავაზებისა, კარიერის დასრულება მტკიცედ გადაუწყვეტია.

„ამ ზაფხულს ბევრი კლუბი დამიკავშირდა საფრანგეთიდან, ინგლისიდან, იაპონიიდან, მექსიკიდან და ყატარიდანაც კი, თუმცა ყველას უარი ვუთხარი. საფრანგეთისა და ინგლისის ჩემპიონატებს უკიდურესად დატვირთული კალენდარი აქვთ, ამიტომაც საეჭვოა, ჩემი ასაკის ფეხბურთელი მსგავსი დონის პირველობებს სწრაფად გაუშინაურდეს. დანარჩენ ლიგებში თამაში კი, მართალი გითხრათ, არ მინდა" — ამბობს ლუის ენრიკე.

„ბარსადან" წასვლის შემდეგ თითქოს მშობლიურ ხიხონის „სპორტინგში" დაბრუნება უნდოდა, მაგრამ ახლა ამ ვარიანტსაც გამორიცხავს. „ასი პროცენტით რომ ვიყო დარწმუნებული ჩემს შესაძლებლობებში, „სპორტინგს" უყოყმანოდ მივაკითხავდი, თუმც დღეს ძველი გუნდის დახმარებას უწინდელივით ვერ შევძლებ" — აღიარებს „ელ ლუჩო".

შეგახსენებთ, რომ ლუის ენრიკე „ბარსელონაში" 1996 წელს მადრიდის „რეალიდან" გადავიდა და 8 სეზონის განმავლობაში „კამპ ნოუს" ინჩასობის აღიარებული გმირი იყო. „რეალამდე" „სპორტინგის" ღირსებას იცავდა. 15-წლიანი საპრიმერო კარიერის მანძილზე სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ასევე სამჯერ იყო კოპა დელ რეის მფლობელი, ხოლო ორჯერ ესპანეთისა და ერთხელ ევროპის სუპერთასიც მოიგო.

ლუის ენრიკეს სამწვრთნელო საქმიანობის დაწყება გადაუწყვეტია.

ლადო ხომერიკი

თუ ღმერთი გწამთ, ნუ მაცინებთ

პაოლო დე ლუკა

იტალიაში სკანდალი გახურდა. გუშინ ვწერდით, რომ ფედერალურმა პროკურორმა ემილიო ფრასკონემ რამდენიმე კლუბის მწვრთნელ-პრეზიდენტი და ფეხბურთელები მატჩების ჩაწყობაში დაადანაშაულა. პოლიციამ ამ კლუბების ოფისებს მიაკითხა, საიდანაც დასტა-დასტა საბუთები წაიღეს. ეჭვმიტანილთა შორის სერია A-ს ოთხი გუნდია: „კიევო“, „სიენა“, „სამპდორია“ და „მოდენა“.

სიენას პრეზიდენტმა პატიოსნება დაიფიცა

„სიენას“ პრეზიდენტმა პაოლო დე ლუკამ გარიგებაში მონაწილეობა უარყო: „ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ ამ საქმეში უბრალონი ვართ. იტალიის საფეხბურთო სამყაროში ყველა გვიცნობს, როგორც სანდო, მოუსყიდველ ხალხს. მომხდარი აშკარად გაუგებრობაა და ჩვენს სიმართლეს კიდეც დავამტკიცებ“.

პრეზიდენტი ანგელოზობს, პროკურორი კი აცხადებს, „კიევო“— „სიენას“ შარშანდელ მატჩს ჩაწყობილის სუნი უდისო. „მოვიდნენ, რამდენჯერაც სურთ, ნახონ და დაამტკიცონ, რომ ეს მატჩი წინასწარ გარიგებული შედეგით დასრულდა. იმ შეხვედრაში ხომ ფეხბურთელიც დაშავდა, ერთი პენალტი მეკარემ აიღო, ბოლო წუთზე კი ნიკოლა ვენტოლამ სასწაულებრივ გაათანაბრა. „კიევოსა“ და „სიენას“ ფეხბურთელებს მატჩის ჩაწყობა ასე კარგად თუ ეხერხებათ, მაშინ ისინი „ოსკარით“ უნდა დავაჯილდოვოთ“ — იხუმრა პაოლო დე ლუკამ.

შეგახსენებთ, რომ ვერონაში გამართულ ზემოთ ხსენებულ შეხვედრაში „კიევო“ დანას პენალტით 69-ე წუთზე დაწინაურდა. სტუმართა ფორვარდმა ენრიკო კიეზამ 79-ეზე ლუკა მარკეჯანის თერთმეტმეტრიანი დარტყმით ვერ გაუტანა, მაგრამ 86-ე წუთზე ნიკოლა ვენტოლამ გაათანაბრა და „სიენამ“ ქულა წაიღო.

ამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე „სიენას“ და „კიევოს“ დირექტორებს, ნელსო რიჩისა და ჯოვანი სარტორის ტელეფონით უსაუბრიათ. პროკურატურაში ამბობენ, რომ მათ საუბრის ჩანაწერი აქვთ, რაც პირდაპირი სამხილია.

„თუ ღმერთი გწამთ, ნუ მაცინებთ — თქვა „სიენას“ შეფმა — ჩვეულებრივი ამბავია, როცა მატჩის წინ კლუბების დირექტორები ერთმანეთს ელაპარაკებიან. ასე ხდება მთელი სეზონის განმავლობაში და რაღა ეს შემთხვევა გაუკვირდათ?“

ახლახან „პორტუდან“ „კიევოს“ ყოფილი მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი გაათავისუფლეს. ამის მიზეზად „პორტუს“ პრეზიდენტსა და იტალიელ თავკაცს შორის გართულებული ურთიერთობა დაასახელეს. გამორიცხული არაა, მიზეზი სწორედაც რომ დელ ნერის სახელის პროკურორის სიაში გამოჩენა იყოს. „კიევოს“ ბოსებს გუშინ თავის გამართლება არც უცდიათ. „მოდენასგანაც“ ჯერჯერობით არაფერი ისმის. სამაგიეროდ, „სამპდორია“ აღშფოთდა, რადგან მის ფეხბურთელ სტეფანო ბეტარინის ალბათ სასამართლოში სიარული მოუწევს. „ბეტარინი გარიგებაში თუ არის გარეული, ეს ამბავი კლუბს, ცხადია, ეხება, მაგრამ ირიბად. ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ ჩაწყობაში მონაწილეობას, ფეხბურთელს კი შეუძლია, თავისი უდანაშაულობა ცალკე ამტკიცოს. გარდა ამისა, ის მატჩი „მოდენასთან“ „სამპდორიამ“ წააგო და აქედან არ გვიხეირია. ამიტომ ჩვენი დადანაშაულება ცოტა გაუგებარი“ — განმარტა გენუელთა დირექტორმა ბეპე მაროტამ. აქვე ვთქვათ, რომ „მოდენა“ — „სამპდორიას“ შარშანდელი თამაში მოდენელთა 1:0 გამარჯვებით დასრულდა და პროკურატურაც სწორედ ამ მატჩის ჩაწყობას ეჭვობს.

ჩახლართულ საქმეს იძიებენ და აგვისტოს შუა რიცხვებში ბევრი რამ გაირკვევა, თუმც უკვე გადაწყვეტილია, რომ სერია B 29 აგვისტოს ნაცვლად 12 სექტემბერს დაიწყება.

ვაჟა ხუციშვილი



სტეფანო ბეტარინი



მაიკლ ოუენს „ლივერპულთან“ კონტრაქტი ჯერ არ განუახლებია და ამ ამბავს ჭორები მოჰყვა — ოუენი მადრიდის „რეალს“ სურს და ფეხბურთელმაც ხელის მოწერა ამიტომაც გადაიფიქრაო

ოუენი ლივერპულს არ ეპონტრაქტება

ხელმოუწერელ მაიკლს რეალმა შეხედა

ბრიტანული მედიის ცნობით, მადრიდელებმა „ლივერპულს“ 19 მილიონი ევრო და ერთი ფორვარდი შესთავაზეს: ფერნანდო მორიენტესი ან სამეულ ეტოო. ამ გარიგებაში ეტოოს მონაწილეობა საეჭვოა. „ბარსელონას“ პრეზიდენტ ხუან ლაპორტას კამერუნელი სათავისოდ უნდა.

მადრიდელთა პრესმდივანმა განაცხადა, ოუენის თაობაზე არაფერი მსმენია, კლუბის ბოსები კი დუმილს ამჯობინებენ.

მაიკლ ოუენს კონტრაქტი მომდევნო სეზონის ბოლოს უმთავრედება. მას კიდევ ორი წლით უნდა გაეგრძელებინა „ლივერპულის“ მაისურით თამაში, მაგრამ მხარეები ჯამაგირზე ვერ შეთანხმდნენ. „ლივერპულის“ ყოფილმა მცველმა მარკ ლაურენსონმა BBC-ის განუცხადა, რომ „რეალის“ წინადადება ფეხბურთელისთვის მეტად მაცდურია და თუ დათანხმდება, არ წააგებსო. „რეალი“ მსოფლიოში საუკეთესოდ მიმაჩნია და იქ თამაშს თუ იუარებ, მაშინ რაღა გსურს“? — თქვა ლაურენსონმა.

მერსისაიდელთა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა კი გაიკვირვა, მაიკლი ავსტრიაში ჩვენთან ერთად მოდის და „რეალში“ მის გადასვლაზე ვერაფერს გეტყვითო. ბრიტანელები ვარაუდობენ, ბენიტესმა ოუენი „გრაცერთან“ მატჩის განაცხადში თუ არ შეიყვანა, ეს ფაქტი „რეალთან“ კავშირზე მიგვანიშნებსო.

„ლივერპულმა“ ავსტრიაში წუხელ ითამაშა და თავად გაარკვიეთ, რას აპირებს მაიკლ ოუენი.

ვაჟა ხუციშვილი

შვედეთი

ალსვენსკა. XV ტური

ჰალმსტადი 1:2 აიკ
მალმიო 4:2 ტრელებორგი
სუნდსვალი 0:1 კალმარი
გიოტებორგი 4:0 იორგრიტე

მალმიო	15	9	5	1	26:8	32
ჰალმსტადი	15	9	3	3	34:18	30
ჰამარბი	15	8	4	3	19:12	28
გიოტებორგი	15	7	4	4	19:11	25
კალმარი	15	6	6	3	18:13	24
ელფსბორგი	15	5	4	6	12:20	19
იურგორდენი	15	4	6	5	21:23	18
სუნდსვალი	15	4	6	5	15:17	18
ჰელსინგბორგი	15	4	5	6	28:20	17
იორებრო	15	4	5	6	18:30	17
აიკ	15	4	4	7	11:18	16
ლანდსკრონა	15	2	7	6	14:22	13
იორგრიტე	15	2	7	6	13:22	13
ტრელებორგი	15	2	4	9	12:26	10

ნორვეგია

ტიპელიგა. XVII ტური

მიოლდე 1:1 ვიკინგი

რუსენბორგი	17	9	6	2	36:20	33
ტრომსიო	17	10	2	5	30:20	32
ლილესტრიომი	17	7	6	4	36:21	27
ვოლერენგა	17	7	6	4	20:16	27
ბრანი	17	8	2	7	30:28	26
ჰამ კამი	17	7	5	5	24:24	26
ლინი	17	6	6	5	21:18	24
ოდ გრენლანდი	17	5	7	5	29:28	22
ბოდიო გლიმტი	17	6	3	8	22:29	21
მოლდე	17	4	7	6	21:24	19
სტაბეკი	17	5	4	8	17:25	19
ვიკინგი	17	3	9	5	16:23	18
სოგნდალი	17	3	6	8	26:34	15
ფრედრიქსტადი	17	3	3	11	23:41	12

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ლონდონური „არსენალის“ ესპანელი თავდამსხმელი ხოსე ანტონიო რეიესი აცხადებს, რომ „ჰაიბერის“ გუნდის სათამაშო სტილს დღითი დღე ეჩვევა და ოცნებობს, „მეთოფეებმა“ პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგა მოიგონ

რეიესმა არსენალს გაუგო და მადაზეა

„სევილიას“ ყოფილი ახალგაზრდა ვარსკვლავი, ვისაც არსენ ვენგერმას საპრემიერლიგო ბრძოლებში იანვარში უხმო, ამას წინათ ინგლისის სუპერთასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარში გატანილი 3 გოლიდან ერთ-ერთის ავტორია. ხოსე ბრიტანულმა მედიამ იმ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

„მიხარია, რომ „არსენალს“ კარგად შევეჩვიე. როდესაც სათამაშოდ უცხო ქვეყანაში, განსხვავებულ კლუბში მიდიხარ, იქაურობასთან მალე შეგუებას დიდი მნიშვნელობა აქვს. საბედნიეროდ, ამ მხრივ ყველაფერი კარგადაა“ — უთხრა რეიესმა ესპანურ „ლიბრე-დირეკტოს“ კორესპონდენტს. თანაგუნდელთაგან სევილიელს ფრანგი ტიერი ანრის ბურთაობა მოსწონს: „ანრი გენიალური მოთამაშეა. ის თავის ამპლუაში მსოფლიოში საუკეთესოა, ტიერის თანაგუნდელობით ძალიან კმაყოფილი ვარ“.

შაბათს, 14 აგვისტოს, „არსენალი“ ახალ სეზონს იწყებს. ხოსე ანტონიო რეიესი კი „მეთოფეთა“ მომავალს იმედით შესცქერის: „ჩემპიონთა ლიგის მოგება გენიალური იქნება, თუმცა, ცხადია, უარს ინგლისის ჩემპიონობაზე ვიტყვით. უკეთესია, თუ ორივეში გავიმარჯვებთ“ — მადაზეა ვენგერის სამხრეთელი შეგირდი.

ლადო ხომერიკი

რაზომ გაყიდეთ მაკელელე?!



დელ ბოსკე პერესს სტამბოლიდან მისწვდა

სტამბოლის „ბეშიქთაშის“ თავკაცმა და „რეალის“ ყოფილმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ ერთ-ერთ ესპანურ რადიოსთან ინტერვიუში „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი არასწორი სატრანსფერო პოლიტიკის გამო გააკრიტიკა.

თურქთა დამრიგებელმა არსენალელ პატრიკ ვიერასა და კასტილიური გრანდის გახმაურებულ გარიგებაზე ისაუბრა და მადრიდელების „ძველი ვიეირა“, კლოდ მაკელელე გაიხსენა: „ვიეირა დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ „რეალს“ უკვე ჰყავდა მსგავსი სიძლიერის ნახევარმცველი კლოდ მაკელელე, რომელიც პერესმა რატომღაც „ჩელსიში“ გაყიდა. ახლა პატრიკში უფრო მეტ თანხას იხდის, ვიდრე მაკელელეში აბრამოვიჩმა გადაიხა. ეს კი, ჩემი აზრით, საკმაოდ მძიმე შეცდომაა“. თავისი უშფოთველობით ცნობილი ულვაშა დელ ბოსკე სენიორ ფლორენტინოს საქმიანობას ფრიად აულელვებია.

„ვფიქრობ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. „რეალის“ შარშანდელი ჩავარდნა სწორედ პერესის ბრალია და წლეულსაც მისი ხელმძღვანელობით ძნელი იქნება დიდი ჯილდოების მოგება“ — იწინასწარმეტყველა სამეფო გუნდის ოდინდელმა მაესტრომ.

ლადო ხომერიკი



კარლეს პუიოლი ხუან ლაპორტამ ხელფასის შემცირებაზე დაიყოლია

პუიოლმა ხელფასი დაითმო

რიგში სავიოლა და ხერარდი

„ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ და გუნდის კაპიტანმა კარლეს პუიოლმა ეგრეთ წოდებულ „სახელფასო შეთანხმებას“ მიაღწიეს — პუიოლი მზადაა, კლუბის თავკაცებთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს და ჯამაგირის შემცირებას დათანხმდეს.

პუიოლმა ჯერ კიდევ „ბარსას“ აზიური ტურნეს დაწყების წინ განაცხადა, რომ გუნდის ინტერესების გათვალისწინებით თავისი კონტრაქტის ფინანსური მხარის გადასინჯვაზე უარს არ იტყოდა. ამჟამად ფეხბურთელის ადვოკატი რამონ სოსტერსი ლაპორტას წარმომადგენლებთან იმ საბოლოო ხელშეკრულების დეტალებზე ბჭობს, რომელიც სავარაუდოდ სექტემბრის დასაწყისში უნდა გააფორმონ.

ფრანკ რაიკარდის მაღალხელფასიანი შეგირდისთვის დღევანდელი კონტრაქტით ყოველ ნათამაშებ მატჩზე 24 ათასი ევროა განკუთვნილი, რაც, ესპანური „მარკას“ ცნობით, „ბარსელონას“ ხაზინას 2003-04-ის სეზონში მილიონ ევროზე მეტი დაუჯდა. ლაპორტასეული სეკვესტრის შესახებ ესპანური მედია ჯერ არაფერს გვიმხელს, თუმცა თავად ის ფაქტი, რომ პუიოლი ჯიბის შემსუბუქებაზე დათანხმდა, კლუბის დირექციას რთულ პრობლემებს მოუხსნის.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ კარლესმა პრესასთან საუბარში ზუსტად ზემოთ ხსენებულ სეკვესტრების გამო დაიჩივლა და აღნიშნა — თუ ხუან ლაპორტასთან საერთო ენას ვერ გამოვნახავ, სჯობს, ახალი გუნდი ვეძებოო. „ახალი გუნდობა“ კი ფლორენტინო პერესის მადრიდის „რეალს“ სურდა — დედაქალაქელი გალაქტიკოსები უკმაყოფილო კაპიტნის გადაბირებას უშედეგოდ, მაგრამ საკმაოდ ბეჯითად შეეცადნენ.

პუიოლის დასტურის მერე „კამპ ნოუზე“ პრაქტიკულად ოდენ ორი ფეხბურთელი დარჩება, ვისაც კონტრაქტის გადასინჯვაზე თანხმობა ჯერ არ განუცხადებია. პირველი არგენტინელი სავიოლაა, რომელიც სავარაუდოდ მომავალ სეზონში „ბარსაში“ ბურთაობას აღარ გააგრძელებს, ხოლო მეორე კატალონიელი ხერარდი, რომელსაც პრიმერას გრანდთან ხელშეკრულება წლეულს უმთავრდება. თუ გამოცდილმა ნახევარმცველმა რაიკარდის გუნდთან თანამშრომლობა ისევ ისურვა, ალბათ მასაც ლაპორტას ახალ სახელფასო პოლიტიკასთან შეგუება მოუწევს.

ლადო ხომერიკი

კანტონა ახტა და ველარ დახტა

ერიკ კანტონამ მორიგი გულშემატკივრის ჩაწიხვლა მოინდომა, მაგრამ არ დაანებეს. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მოთამაშე საფიცხით ყოველთვის გამოირჩეოდა და ამისთვის არაერთხელ დასჯილა.

მალიორკაში პლაჟის საფეხბურთო ტურნირზე ერიკ კანტონას გუნდი მავანმა ქომაგმა გამოლანძღა, შემდეგ კი მაშხალის სროლაც არ დაიზარა. ფრანგმა ველარ გაუძლო შეურაცხყოფას, ბურთი მიაგდო და ქომაგს გაექაჩა. ჰაერში აწეული კანტონა იქაურმა პოლიციელებმა ჰაერშივე გაბაწრეს და კარატეს ილეთის გამეორების საშუალება არ მისცეს.

ალბათ, გახსოვთ, 1995 წელს „მანჩესტერის“ მაშინდელმა ჯილამ მის მაგინებელ ფანს წიხლი რომ ჩააზილა და ამის გამო 9-თავიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს.

ვაჟა ხუციშვილი

ასეთი ილეთის გამეორება ერიკ კანტონამ პლაჟზეც სცადა, მაგრამ პოლიციამ არ დაანება

სარგებელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

ათენის ოლიმპიადა 2004

შეხვედრები. კაცები. ჩემპიონი
12.08.2004

1	19:0	ჩემპიონი	კოსტა რიკა	30,0
1	19:0	ჩემპიონი	პორტუგალია	6,5
1	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	8,0
1	19:0	ჩემპიონი	პარაგვაი	9,0
1	19:0	ჩემპიონი	სერბეთი	15,0
1	19:0	ჩემპიონი	მექსიკა	15,0
1	19:0	ჩემპიონი	იაპონია	24,0
1	19:0	ჩემპიონი	მაროკო	30,0
1	19:0	ჩემპიონი	იტალია	5,0
1	19:0	ჩემპიონი	ავსტრალია	65,0
1	19:0	ჩემპიონი	არგენტინა	3,75
1	19:0	ჩემპიონი	კორეა	30,0

ჯგუფი ა. პირველი ადგილი.
12.08.2004

2	19:0	პირველი ადგილი	საბერძნეთი	2,25
2	19:0	პირველი ადგილი	მექსიკა	2,95
2	19:0	პირველი ადგილი	სამხ. კორეა	6,3
2	19:0	პირველი ადგილი	მალი	4,8

ჯგუფი ბ. პირველი ადგილი.
12.08.2004

3	19:0	პირველი ადგილი	იტალია	1,85
3	19:0	პირველი ადგილი	პარაგვაი	2,9
3	19:0	პირველი ადგილი	განა	5,7
3	19:0	პირველი ადგილი	იაპონია	9,0

ჯგუფი გ. პირველი ადგილი.
12.08.2004

4	19:0	პირველი ადგილი	არგენტინა	1,35
4	19:0	პირველი ადგილი	ავსტრალია	11,5
4	19:0	პირველი ადგილი	სერბეთი	5,4
4	19:0	პირველი ადგილი	ტუნისი	5,2

ჯგუფი დ. პირველი ადგილი.
12.08.2004

5	19:0	პირველი ადგილი	ერაყი	21,0
5	19:0	პირველი ადგილი	კოსტა რიკა	6,5
5	19:0	პირველი ადგილი	მაროკო	3,6
5	19:0	პირველი ადგილი	პორტუგალია	1,45

კალათბურთი. კაცები. ჩემპიონი
14.08.2004

6	19:0	ჩემპიონი	ავსტრალია	85,0
6	19:0	ჩემპიონი	არგენტინა	7,7
6	19:0	ჩემპიონი	ჩინეთი	85,0
6	19:0	ჩემპიონი	ლიტვა	6,0
6	19:0	ჩემპიონი	აშშ	1,35
6	19:0	ჩემპიონი	იტალია	20,0
6	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	13,0
6	19:0	ჩემპიონი	სერბეთი	11,0
6	19:0	ჩემპიონი	ესპანეთი	13,0

ჯგუფი ა. პირველი ადგილი. კალათბურთი
14.08.2004

7	19:0	პირველი ადგილი	ესპანეთი	2,9
7	19:0	პირველი ადგილი	იტალია	5,0
7	19:0	პირველი ადგილი	არგენტინა	2,4
7	19:0	პირველი ადგილი	ჩინეთი	27,0
7	19:0	პირველი ადგილი	ახ. ზელანდია	35,0
7	19:0	პირველი ადგილი	სერბეთი	2,7

ჯგუფი ბ. პირველი ადგილი. კალათბურთი
14.08.2004

8	19:0	პირველი ადგილი	პუერტო რიკო	17,0
8	19:0	პირველი ადგილი	ლიტვა	4,6
8	19:0	პირველი ადგილი	აშშ	1,15
8	19:0	პირველი ადგილი	საბერძნეთი	5,9
8	19:0	პირველი ადგილი	ავსტრალია	35,0
8	19:0	პირველი ადგილი	ანგოლა	105,0

ხელბურთი. კაცები. ჩემპიონი
12.08.2004

9	19:0	ჩემპიონი	გერმანია	3,75
9	19:0	ჩემპიონი	ხორვატია	6,0
9	19:0	ჩემპიონი	ესპანეთი	8,0
9	19:0	ჩემპიონი	უნგრეთი	12,5
9	19:0	ჩემპიონი	სლოვენია	14,0
9	19:0	ჩემპიონი	ეგვიპტე	45,0
9	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	81,0
9	19:0	ჩემპიონი	საფრანგეთი	3,45
9	19:0	ჩემპიონი	რუსეთი	3,65
9	19:0	ჩემპიონი	ბრაზილია	500,0
9	19:0	ჩემპიონი	კორეა	251,0

ხელბურთი. ქალები. ჩემპიონი
12.08.2004

10	19:0	ჩემპიონი	ბრაზილია	79,0
10	19:0	ჩემპიონი	საფრანგეთი	3,5
10	19:0	ჩემპიონი	ჩინეთი	81,0
10	19:0	ჩემპიონი	ესპანეთი	21,0
10	19:0	ჩემპიონი	უკრაინა	14,0
10	19:0	ჩემპიონი	დანია	5,3
10	19:0	ჩემპიონი	კორეა	3,0
10	19:0	ჩემპიონი	უნგრეთი	3,2
10	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	101,0

წყალბურთი. კაცები. ჩემპიონი
14.08.2004

11	19:0	ჩემპიონი	სერბეთი	3,8
11	19:0	ჩემპიონი	გერმანია	35,0
11	19:0	ჩემპიონი	რუსეთი	30,0
11	19:0	ჩემპიონი	უნგრეთი	2,7
11	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	5,5
11	19:0	ჩემპიონი	ესპანეთი	14,0
11	19:0	ჩემპიონი	აშშ	14,0
11	19:0	ჩემპიონი	ავსტრალია	30,0
11	19:0	ჩემპიონი	ხორვატია	7,0

ფრენბურთი. კაცები. ჩემპიონი
14.08.2004

12	19:0	ჩემპიონი	აშშ	14,0
12	19:0	ჩემპიონი	იტალია	5,1
12	19:0	ჩემპიონი	სერბეთი	5,1
12	19:0	ჩემპიონი	რუსეთი	6,5
12	19:0	ჩემპიონი	საფრანგეთი	10,5
12	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	26,0
12	19:0	ჩემპიონი	ჰოლანდია	14,0
12	19:0	ჩემპიონი	პოლონეთი	41,0
12	19:0	ჩემპიონი	არგენტინა	65,0
12	19:0	ჩემპიონი	ბრაზილია	2,1

ფრენბურთი. ქალები. ჩემპიონი
14.08.2004

13	19:0	ჩემპიონი	იაპონია	70,0
13	19:0	ჩემპიონი	ბრაზილია	2,3
13	19:0	ჩემპიონი	ჩინეთი	3,1
13	19:0	ჩემპიონი	კუბა	4,3
13	19:0	ჩემპიონი	იტალია	8,5
13	19:0	ჩემპიონი	აშშ	10,0
13	19:0	ჩემპიონი	გერმანია	35,0
13	19:0	ჩემპიონი	რუსეთი	45,0

ჩოგბურთი. კაცები. ჩემპიონი
12.08.2004

14	19:0	ჩემპიონი	ნოვაკი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	ჰაასი	40,0
14	19:0	ჩემპიონი	ფედერერი	2,1
14	19:0	ჩემპიონი	როდიკი	3,2
14	19:0	ჩემპიონი	ჰიუიტი	11,0
14	19:0	ჩემპიონი	აგასი	19,0
14	19:0	ჩემპიონი	რუჩეცკი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	მოია	25,0
14	19:0	ჩემპიონი	კორეა	25,0
14	19:0	ჩემპიონი	ჰენმანი	25,0
14	19:0	ჩემპიონი	ფერერო	40,0
14	19:0	ჩემპიონი	მირნი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	გროჟანი	40,0
14	19:0	ჩემპიონი	მალისე	151,0
14	19:0	ჩემპიონი	კუერტენი	51,0
14	19:0	ჩემპიონი	კიფერი	51,0
14	19:0	ჩემპიონი	ფიში	65,0
14	19:0	ჩემპიონი	იოჰანსონი	81,0
14	19:0	ჩემპიონი	რობრედო	151,0
14	19:0	ჩემპიონი	ჰრბატი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	საფინი	25,0
14	19:0	ჩემპიონი	ნალბანდიანი	25,0
14	19:0	ჩემპიონი	ფილიპუსისი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	ანჩიჩი	40,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაარეგულირებთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა. I ტური						
		14 აგვისტო						
15.45	001	ტოტენჰემი-ლივერპული	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
18.00	002	ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
18.00	003	ასტონ ვილა-საუთჰემპტონი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
18.00	004	ბოლტონი-ჩარლტონი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
18.00	005	სიტი-ფულემი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
18.00	006	ნორვიჩი-კრისტალ პალასი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
18.00	007	პორტსმუთი-ბირმინგემი	2,25	3,1	3,1	1,3	1,3	1,55
20.15	008	მიდლსბრო-ნიუკასლი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
		15 აგვისტო						
17.00	009	ევერტონი-არსენალი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
19.05	010	ჩელსი-მანჩესტერი	2,25	3,1	3,1	1,3	1,3	1,55
		ინგლისი. ჩემპიონატი. II ტური						
		11 აგვისტო						
22.45	109	ვულვერჰემპტონი-პრესტონი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
22.45	110	დერბი-ლესტერი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37
22.45	111	ნოტინგემი-იფსვიჩი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
		ინგლისი. I ლიგა. II ტური						
		11 აგვისტო						
22.45	141	სუინდონი-ლუტონი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
		ინგლისი. II ლიგა. II ტური						
		11 აგვისტო						
22.45	171	ოქსფორდი-მენსფილდი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
		გერმანია. ბუნდესლიგა. II ტური						
		14 აგვისტო						
17.30	014	მაინცი-ჰამბურგი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
17.30	015	ბაიერნი-ჰერტა	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
17.30	016	მიონხენგლადბახი-დორტმუნდი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
17.30	017	ჰანზა-ვერდერი	3,2	3,2	2,15	1,6	1,28	1,28
17.30	018	შალკე-კაიზერსლაუტერნი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
17.30	019	ნიურნბერგი-შტუტგარტი	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
		15 აგვისტო						
19.30	020	ვოლფსბურგი-ფრაიბურგი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.30	021	ბოხუმი-ლევერკუზენი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). III ტური						
		11 აგვისტო						
21.30	245	კილი-უნიონი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
21.30	246	ვუპერტალი-პადერბორნი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
21.30	247	ჰერტა(მ)-არმინია(მ)	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
21.30	248	ურდინგენი-დორტმუნდი(მ)	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
21.30	249	ვოლფსბურგი(მ)-ფორტუნა	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
21.30	250	ბრაუნშვაიგი-ლიუბეკი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
21.30	251	მიუნსტერი-ქემნიცი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
21.30	252	ოსნაბიუკი-ჰამბურგი(მ)	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
21.30	253	კიოლნი(მ)-ზტ.პაული	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
		ჰოლანდია. I დივიზიონი. I ტური						
		13 აგვისტო						
22.00	309	როდა-ვიტესი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		14 აგვისტო						
21.30	310	ბრედა-უტრეხტი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
21.30	311	როზენდალი-პსვ	5,6	3,6	1,55	2,19	1,21	1,08
22.00	312	ალკმაარი-ჰერენვენი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
22.00	313	ნაიმეგენი-ტილბურგი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
		15 აგვისტო						
14.30	314	ტვენტე-აიაქსი	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
16.30	315	გრონინგენი-ვალვაიკი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
16.30	316	დენ ბოსხი-დენ ჰააგი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
16.30	317	ფეიენოორდი-გრააფსხაპი	1,12	6,0	15,0	1	1,04	4,28
		შვეიცარია. ჩემპიონლიგა. III ტური						
		11 აგვისტო						
21.30	378	ლუცერნი-ბოლმი	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
		შვედეთი. სუპერეტა. XIX ტური						
		11 აგვისტო						
21.00	416	ფრისკა-ბოდენსი	2,1	3,3	3,0	1,28	1,23	1,57
22.00	417	ჰეკენი-ფრიოლუნდა	1,6	3,6	4,6	1,1	1,18	2,01
22.00	418	ბრომაპოიკარნა-ოპერა	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
22.00	419	ენჩიოპინგი-ვესტეროსი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
22.00	421	ასირისკა-ნორჩიოპინგი	1,85	3,3	3,3	1,18	1,21	1,69
22.00	422	ბრაგე-გეფლე	3,6	3,3	1,8	1,72	1,19	1,16
		12 აგვისტო						
21.00	423	ატვიდაბერგი-გაის	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
		ნორვეგია. I დივიზიონი. XVIII ტური						
		11 აგვისტო						
21.00	436	სტრიომსგოდსეტი-ალესუნდი	2,7	3,5	2,15	1,52	1,19	1,33
21.00	437	ტრომსდალენი-ბრინი	3,5	3,6	1,75	1,77	1,16	1,17
21.00	438	ვარდ ჰაუგესუნდი-მოსი	2,7	3,5	2,15	1,52	1,19	1,33
21.00	439	ჰიოდი-სტარტი	3,2	3,6	1,85	1,69	1,17	1,22
21.00	440	მანდალი-ჰიონეფოსი	1,7	3,6	3,8	1,15	1,17	1,84
21.00	441	პორს გრენლანდი-კონგსვინგერი	2,7	3,5	2,15	1,52	1,19	1,33
21.00	442	რაუფოსი-სანდეფიორდი	3,3	3,6	1,8	1,72	1,16	1,19
21.00	443	სკეიდი-ჰაუგესუნდი	2,15	3,8	2,5	1,37	1,15	1,5
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XIX ტური						
		11 აგვისტო						
19.30	446	ტამპერე-ტპ 47	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
		12 აგვისტო						
19.30	447	ტურკუ-კტპ	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
19.30	448	ლაჰტი-ჯაზი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
19.30	449	ჰიკ-ინტერი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
19.30	450	მიუპა-როვანიემი	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
		ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. II ტური						
		14 აგვისტო						
16.25	505	დრნოვიცე-სპარტა	4,2	3,4	1,7	1,87	1,21	1,13
22.00	506	ოპავა-ბოლესლავი	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
		15 აგვისტო						
19.00	507	ტეპლიცე-ზლინი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
19.00	508	ბლშანი-ბრნო	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
19.00	509	ბუდეიოვიცე-პრუიბრამი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
19.00	510	იაბლონეცი-ბანიკი	2,8	2,9	2,4	1,42	1,29	1,31
		16 აგვისტო						
18.40	511	სლავია-ლიბერეცი	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
22.00	512	სლოვაკეთი-სიგმა	2,45	2,9	2,7	1,32	1,28	1,39
		ბრაზილია. სერია A. XXIII ტური						
		11 აგვისტო						
03.30	555	პარანა-ინტერნასიონალი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
03.30	556	პაისანდუ-ქუვენტუდი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
03.30	557	პონტე პრეტა-ვიტორია	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
03.30	558	სან პაულუ-გოიასი	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
03.30	559	გრემიო-გუარანი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
04.45	560	ვასკუ და გამა-სანტოსი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
04.45	561	კრუზეირო-ფლამენგო	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
04.45	562	ფიგეირენსე-კორინთიანსი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
		12 აგვისტო						
03.30	563	ბოტაფოგო-ატლეტიკო პრ	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
03.30	564	კურიტიბა-კრიციუმა	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
03.30	565	სან კეეტანო-ატლეტიკო მნ	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
03.30	566	პალმეირასი-ფლუმინენსე	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
		ჩილე. კლაუსურა. III ტური						
		11 აგვისტო						
23.30	599	პალესტინო-სან ფელიპე	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
24.00	600	კობრელოა-კოკიმბო	1,45	4,0	5,6	1,06	1,15	2,33
00.30	601	ევერტონი-უაჩიპატო	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
04.00	602	ტემუკო-უონდერერსი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
05.00	603	უნ.ჩილე-უნ.ესპანიოლა	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
05.15	604	სერენა-პუერტო მონტი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
		12 აგვისტო						
02.30	605	კობრესალი-რეინჯერსი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
04.30	606	აუდაქსი-კოლო კოლო	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23
		აშშ. MLS						
		11 აგვისტო						
03.30	634	ვაშინგტონი-კოლორადო	2,2	3,1	3,0	1,28	1,26	1,52
04.00	635	დალასი-ნიუ ინგლენდი	1,85	3,1	3,8	1,15	1,24	1,7
04.30	636	ჩიკაგო-სან ხოსე	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შოტლანდია. ლიგის თასი. I ეტაპი						
		11 აგვისტო						
22.45	667	სტირლინგი-ქუინზ პარკი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
		ნორვეგია. თასი. 1/4 ფინალი						
		14 აგვისტო						
18.00	670	ლინი-ჰამარი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
22.15	671	ლილესტრომი-რუსენბორგი	3,2	3,2	2,1	1,6	1,26	1,26
		15 აგვისტო						
20.00	672	სანდეფიორდი-სტაბეკი	3,0	3,3	2,15	1,57	1,25	1,3
22.15	673	ბრანი-ბრინი	1,25	5,0	7,5	1	1,07	3
		ჩემპიონთა ლიგა. III შესარჩევი ეტაპი. I მატჩები						
		11 აგვისტო						
21.00	731	შახტარი-ბრიუგე	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
22.00	732	ფერენცვაროში-სპორტინგი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
22.15	733	გორიცა-მონაკო	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
22.30	734	ლევერკუზენი-ბანიკი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
22.30	735	ცრვენა ზვეზდა-პსვ	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
22.45	736	რუსენბორგი-მაკაბი(ჰ)	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
22.45	737	დინამო(ბქ)-მანჩესტერი	4,8	3,5	1,65	2,02	1,22	1,12
22.45	738	ბახელი-ინტერი	3,4	3,2	2,05	1,64	1,27	1,24
22.45	739	შელბურნი-დეპორტივო	8,0	4,8	1,3	3	1,11	1,02
22.45	740	ვისლა-რეალი	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
		ფეხბურთი. ოლიმპიური თამაშები. ათენი						
		11 აგვისტო						
21.30	751	არგენტინა-სერბია	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
21.30	752	საბერძნეთი-ს.კორეა	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
21.30	753	მალი-მექსიკა	3,6	3,2	1,85	1,69	1,22	1,17
21.30	754	ტუნისი-ავსტრალია	1,85	3,1	3,8	1,15	1,24	1,7

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		12 აგვისტო						
21.30	755	კოსტა რიკა-მაროკო	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
21.30	756	განა-იტალია	5,6	3,6	1,5	2,19	1,18	1,05
21.30	757	ერაყი-პორტუგალია	9,0	4,6	1,25	3,04	1,08	1
21.30	758	პარაგვაი-იაპონია	1,8	3,1	4,0	1,13	1,24	1,74

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

ქართველები ათენში

ეროვნული ბიბლიოთეკა
ATHENS 2004

ქართველებო, გავიცნოთ ერთმანეთი

ირაკლი ლაბაძე: ათენში პატრიოტიზმით უნდა ავთენთო

ირაკლი ლაბაძის ნიჭმა ჯერ კიდევ 1998 წელს უიმბლდონის ახალგაზრდულ ტურნირზე გამოანათა, სადაც მან მხოლოდ ფინალში წააგო მსოფლიოს ამჟამინდელ პირველ მეჩოგნე როჯერ ფედერერთან. 2004 წელი გამორჩეულია ლაბაძისთვის — ორ ტურნირზე უწია ნახევარფინალს: ჯერ იყო კალიფორნიული მასტერს-ტურნირი ინდიანუელსი, შემდეგ კი პორტუგალიური ეშტორილი. ეგ არის, დიდი სლემის ტურნირებზე ვერ იჩაუქა, მაგრამ წლევანდელ სადევისთასო მატჩებში საქართველოს ნაკრებს დიდად შეეწია, როდესაც იტალიელებსა და ეგვიპტელებს შავი დღე აყარა. 15-16 აგვისტოს ირაკლი ლაბაძე ათენურ კორტებზე გამოჩნდება. ძნელი კია, მსოფლიო ჩოგბურთის მახვშების მარაქაში ირაკლის ოქრო მოსთხოვო, მაგრამ ოლიმპიადაზე სიურპრიზებს რა გამოლევს. მით უმეტეს, ჩოგბურთში ეს არცთუ იშვიათია. ახლა ლაბაძე თბილისშია და დღეს საღამოს საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას გაჰყვება ელადაში, ხოლო გუშინ „სარბიელის“ სტუმარი გახლდათ...



ირაკლი ლაბაძე ჩოგბურთი
დაიბადა 1981 წლის 9 ივნისს
წონა: 85 კგ; სიმაღლე: 187 სმ
ოჯახი: მშობლები და ძმა
ATP-ის რეიტინგი: 46-ე

— მამაჩემმა ყველაფერი გააკეთა, რათა ჩოგბურთელი გავმხდარიყავი. აბა, მე ვინ რას მეკითხებოდა, 4 წლის ვიყავი, როდესაც მან სახლში კედელი გამითავისუფლა და ხელში ხის ჩოგანი დამაჭერინა. მას შემდეგ შინ თუ გარეთ ჩოგანი მიკავია. 14 წლისამ უკვე გერმანიაში ვითამაშე ტურნირზე, მერე კი აეწყო კარიერა.

— ესე იგი, ჩოგბურთის თამაში დაგაძალეს?

— 4 წლის ბავშვს რა დაძალება სჭირდებოდა, მაგრამ როცა წამოვიზარდე, ხან ფეხბურთისკენ გამიწია გულმა, ხან კალათბურთისკენ. ფეხბურთი ვის არ უყვარს, მაგრამ მე ეზოს დონეზე ძალიან კარგად ვთამაშობდი. სხვათა შორის, როდესაც საჩოგბურთო კარიერას დავასრულებ, რომელიმე სამოყვარულო კლუბში გავაგორებ ბურთს და მგონი, ურიგოდ არ უნდა გამომივიდეს. ნახევარი წელიწადი ჭადრაკზეც დავდიოდი.

— ფეხბურთში კერპიც გეყოლებოდა...

— არა. ფეხბურთში კი არა, კერპი ჩოგბურთშიც არ მყოლია. აი, მაიკლ ჯორდანი კი იმდენად მაღლა იდგა სხვებზე, რომ არ შეიძლებოდა, კალათბურთზე ლაპარაკი მისით არ დაგეწყო.

— ფეხბურთი და კალათბურთი მხოლოდ სათამაშოდ გიყვარს თუ ტელევიზორშიც უყურებ?

— სპორტის არც ერთი სახეობის ყურება არ მიყვარს. მირჩევნია, გარეთ გავიდე, ათასი საინტერესო რამ ხდება...

— არც ოლიმპიადაზე დაესწრები ქართველების გამოსვლას?

— აი, იქ კი მომიწევს და სიამოვნებითაც ვუქომაგებ თანამემამულეებს. მინდა, ყველა მათგანის გამოსვლას ვუყურო, მაგრამ მოჭიდაველების გამხნევებას ვერ შევძლებ. ისინი გვიან ჩაერთვებიან ოლიმპიადაზე, ხოლო მე 23 აგვისტოს ამერიკაში უნდა ვითამაშო ტურნირზე.

— წლევანდელი წელი შენთვის აშკარად გამორჩეულია შედეგებით. მაინც რის ხარჯზე მოუმატე?

— საერთოდ ჩემი კარიერა შესანიშნავად დაიწყო, მაგრამ შემდეგ ტრავმებმა დამრია ხელი. წლეულს კარგ ფორმაში ვარ და ფსიქოლოგიურადაც მშვენივრად ვგრძნობ თავს, თუმც ტრავმა ახლაც მაწუხებს. ეგვიპტელებთან დევისის თასის შეხვედრების შემდეგ მარჯვენა ხელის მაჯა ვიტკინე. ნელ-ნელა მომირჩა, მაგრამ ოდნავ მაინც ვგრძნობ ტკივილს. ვნახოთ, არა მგონია, ამან ათენში ძალიან შემიშალოს ხელი.

— წლეულს ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამახსოვრდა?

— ინდიანუელსური მასტერსის მეოთხედფინალი ამერიკელ ბლეიკთან. ალბათ ეს იყო ჩემი საუკეთესო მატჩი, თუმც საერთოდ აგასისთან დაპირისპირებებს სხვა ელფერი ჰქონდა. წლეულს იმავე ინდიანუელსში მწარედ დამამახსოვრდა ტიმ ჰენმანთან ნახევარფინალის წაგება. ვფიქრობ, ეშტორილის ტურნირის მოგება უკვე რეალურად შემეძლო, მაგრამ საფინთან თამაშის დროს მიღებულ ტრავმას რას მოვუხერხებდი...

— შენი ყველაზე უხერხული მეტოქეები ვინ არიან?

— ფელისიანო ლოპესი და ჰენმანი. მიჭირს იმათთან, რომლებიც თამაშს კლავენ, თორემ იგივე საფინთან და მისი სტილის ჩოგბურთელებთან ხალისიანად ვთამაშობ.

— როგორ ფიქრობ, ვინ მოიგებს ოლიმპიადას?

— უფრო ფედერერი ან როდიკი.

— საკუთარ თავზე რას იტყვი? 400 000 ლარიც არ არის პატარა თანხა...

— ცხადია, ჩვენს მოჭიდაველებზე და ძიუდოისტებზე ნაკლები შანსი მაქვს, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ოლიმპიადა მაინც სხვა დატვირთვაა. ხომ ხედავთ, ზოგიერთი ძლიერი ჩოგბურთელი უარს ამბობს იქ თამაშზე. აქ უფრო პატრიოტული მოტივია პირველ პლანზე, თორემ მარტო თანხაზე თუ იფიქრე, არაფერი გამოგივა. იმასაც დავამატებ, რომ ათენში ჰარდზეა თამაშები. მართალია, ყველა საფარს დაახლოებით ერთნაირად ვეგუები, მაგრამ მაინც ჰარდი მირჩევნია.

— რამდენჯერმე გითქვამს, ჭარბი წონა მაქვსო. ალბათ, გურმანი ხარ...

— არა, განსაკუთრებული არაფერი. ეგ არის, ერთი-ორი დღე რომ არ ვივარჯიშო, მაშინვე ვიმატებ წონაში. ახლა ნორმაზე ვარ.

— საქართველოში იშვიათად გიწევს თამაში და ქომაგთა მხარდაჭერას დიდად არ ხარ შეჩვეული. ათენში კი თანამემამულეებიც გვერდში დაგვიდგებიან. რამდენად მნიშვნელოვანია ეს შენთვის?

— ძალიან დამეხმარება. საზღვარგარეთ რომ შენიანი გამხნევებს, ეს ფრთებს გასხამს. ამერიკაში, ინდიანუელსის მასტერსზე სამი ქართველი მიჭერდა მხარს და ძალა მემატებოდა. ისე, სანამ ათენის კორტებზე გავალ, ქართველი ოლიმპიელები უნდა გავიცნო. დელეგაციიდან ერთადერთ კაცს ვიცნობ და ისიც, არასპორტსმენს — ირაკლი მეძმარიაშვილს...

ილია ნანოგაშვილი

ვაჟა ფარაჯანოვის ფოტო

ხელბურთელებს ხელი ვენაში გაუმართეს

ტრადიციული უსიამოვნო სახელბურთო ამბავი გაჭიანურებული, ოღონდ კეთილი ბოლოთი. ორი წლის წინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა საფრანგეთში ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება ვერ შეძლო, ცხადია, უფულობის მიზეზით.

ხელბურთის ევროფედერაციამ 15000 ევროთი დაგვაჯარიმა, თანაც თანხის გადახდამდე ჩვენს ნაკრებებს და კლუბებს ტურნირებში მონაწილეობა აუკრძალა. შარშან ვალის დაფარვა ვერ მოხერხდა, წლეულს კი საქართველოს ხელბურთის ეროვნულმა ასოციაციამ მესამედი გადარიცხა ფედერაციის ანგარიშზე, ხოლო დანარჩენი ორი მესამედი გვაპატიეს და სანქციაც მოიხსნა.

გუშინ ვენაში, ფედერაციის შტაბბინაში მოეწყო საკლუბო ტურნირების წილისყრა. ჩემპიონთა ლიგაში, ბუნებრივია, საქართველოს წარმომადგენელი არ ჰყავს, სამაგიეროდ, ევროფედერაციის თასზე და „ჩელენჯ ქაპზე“ ორ-ორი გუნდი გამოვა.

ჩვენი უცვლელი ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“ შეხვდება ბელარუსის „მეშკოვოს“ და პორტუგალიის „პორტოს“ შორის დამარცხებულს, ხოლო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამული“ — მაკედონიის „მეტალურგს“.

„ჩელენჯ ქაფის“ გათამაშებაში „ქუთაისს“ მეტოქედ ლუქსემბურგის „რედ ბოიზი“ ერგო, „თბილისს“ კი ჯერ შესარჩევი ბარიერი აქვს დასაძლევი. ოთხგუნდა ჯგუფში თბილისელები მიმდევრობით ეთამაშებიან პორტუგალიის „სან ბერნანდო-ავეირუს,“ ლიტვის „ლუსის-კაუნასს“ და შოტლანდიის „ტრისტ 77“-ს. ჯგუფის ორი საუკეთესო გააგრძელებს ბრძოლას მომდევნო ეტაპზე.

მატჩები 8-17 ოქტომბერს გაიმართება, ქუთაისელები ერთი თვით გვიან, 7 და 14 ნოემბერს ითამაშებენ.

ტელემარაქაში იმედიც გაქრა

თითქმის ყოველი მომდევნო ოლიმპიური თამაშები სულ უფრო მეტ ტელეაუდიტორიას იზიდავს და ამ მხრივ რეკორდსმენად გვევლინება. რეკორდული იქნება ათენის ოლიმპიადაც. ამასთან, გაუმჯობესდება ტელეარხების რაოდენობრივი რეკორდიც, ტელერეპორტაჟების მიმღები ქვეყნების რაოდენობაც და საათობრივი მაჩვენებლებიც. მაგალითად, 300 არხი 35 ათას საათს დაუთმობს ოლიმპიადას, რაც დღეში 2 000 საათიან გადაცემას და დაახლოებით 3,9 მილიარდ ტელემაყურებელს ნიშნავს. თუმცა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მონაცემებით, ათენის ოლიმპიადას 4 მილიარდზე მეტი მაყურებელი ეყოლება.

ამ მხრივ რეკორდი ჯერჯერობით სიდნეის ოლიმპიადას ეკუთვნის, რომელსაც 3,7 მილიარდი ტელემაყურებელი ჰყავდა.

ათენის ოლიმპიურ თამაშებს ტელეკომპანია „იმედის“ წყალობით პირდაპირი რეპორტაჟებით თვალს მიადევნებენ ჩვენი ტელემაყურებლებიც, რაც საქართველოს ტელემაუწყებლობის ისტორიაში პირველი შემთხვევა იქნება.

საინტერესოა, რომ ოლიმპიური თამაშების მონაწილეთაგან ინდონეზია იქნება ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც ოლიმპიური სარბიელიდან ტელერეპორტაჟებს არ მიიღებს.

ინდონეზიის ეროვნული ტელევიზიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის განმარტებით, ეს პოტენციური რეკლამის მომწოდებლების დაუინტერესებლობით აიხსნება, მით უმეტეს, რომ ჩვენს სპორტსმენებს მედლების მოპოვების შანსი პრაქტიკულად არა აქვთ. ერთადერთნი, რომლებსაც წარმატება შეუძლიათ, ბადმინტონისტები არიანო.

ავთანდილ ბყვიშელი

რუმინული სტანდარტები გაგდებთ ანუ შანსს გაძლევთ

რუმინელი თარჯმრბენი კარმენ ზაფირი ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. რუმინეთის მძლეოსნობის ფედერაციამ ასეთივე მკაცრი განაჩენი გამოუტანა სხვა რუმინელ ათლეტ ვიორიცა სუსანუს, თუმცა განაჩენი მას შემდეგ შეიცვალა, რაც მეორე ტესტმა მისი უდანაშაულობა ცხადყო.

ზაფირის შემთხვევაში საქმე ცოტა რთულადაა. კარმენს სისხლში აკრძალული ნივთიერება კი აღმოაჩნდა, მაგრამ მხოლოდ 1 ნანოგრამი ერთ მილილიტრზე. ორწლიან დისკვალიფიკაციას კი საერთაშორისო კანონები მხოლოდ 2 ან მეტი ნანოგრამის აღმოჩენის შემთხვევაში ითვალისწინებენ. მიუხედავად ამისა, რუმინელი მაინც მკაცრად დაისაჯა.

„არა აქვს მნიშვნელობა, რამდენ ნანოგრამ აკრძალულ ნივიერებას შეიცავდა მისი სისხლი. მთავარია, რომ ეს ნივთიერება მის სისხლში აღმოჩნდა — აცხადებს რუმინეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი იოლანდა ბალასი — ჩვენი გადაწყვეტილება მკაცრია, მაგრამ მას კიდევ ერთ შანსს ვაძლევთ, რადგანაც ეს პირველი შემთხვევაა მის კარიერაში.“ მეორე შანსში ბალასი იმას გულისხმობს, რომ სპორტსმენი მხოლოდ ორი წლით მოკვეთეს და არა სამუდამოდ. ამის გამო ბალასს ორმაგ სტანდარტებში დასდეს ბრალი. საქმე ისაა, რომ მსოფლიო რეკორდის მჰყრობელი, ეროს მტყორცნელი მიჰაელა მელინტე სამუდამოდ მოკვეთეს სპორტიდან მას შემდეგ, რაც 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე აღმოუჩინეს სისხლში აკრძალული ნივთიერებები. მაშინ ეს შემთხვევა მიჰაელასათვისაც პირველი იყო კარიერაში.

ლადო ფულუკიძე

ვახტანგ იაგორაშვილი მეუღლითურთ და სხვა ამერიკელი წყვილები

ოლიმპიურ თამაშებში ხშირად სპორტსმენთა ოჯახური წყვილები გამოდიან და ბევრი მათგანი დიდ წარმატებებსაც აღწევს. ასეთ ოჯახურ წყვილეში არიან მამა-შვილი, ცოლ-ქმარი, ძმები, დები და და-ძმანი.

აღმოჩნდა, რომ ამერიკის ოლიმპიურ ნაკრებში საათენოდ ასეთი წყვილები საკმაოდ იქნებიან. მათ შორის ვიხილავთ ყოფილ ჩევნს თანამემამულეს, სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორს თანამედროვე ხუთჭიდში ვახტანგ იაგორაშვილს, რომელიც თავის ამერიკელ ცოლთან მერი ბეტთან ერთად გამოვა.

ამერიკელთა გუნდში არის სტაიერების ალან და შეინ კალტერების ცოლქმრული წყვილი, აგრეთვე და-ძმანი: ტროი და ჯასტინ დიუმები, რომლებიც წყალში ხტომაში იასპარეზებენ, მოფარიკავე და-ძმანი კიტ და ერინ სმარტები, სადა და ემილ იაკობსონები, სპორტული ტანვარჯიშის ოსტატი ძმები პოლ და მორგან ჰემები, მოცურავეები ტარა და დანა კერკები, კლიტ და კეილენ კელერები, ჩოგბურთელდები სერენა და ვინუს უილიამსები, ძმები რობერტ და მაიკ ბრაიანები.

სხვათა შორის, 26 წლის შავკანიანი კიტ სმარტი იქადნება, ათენში რუსეთის ხმლით მოფარიკავეთა უპირატესობას დავამხობთო. შარშან სმარტმა უკვე შეავიწროვა ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი სტანისლავ პოზდნიაკოვი, რომელიც ხმლით მოფარიკავეთა მსოფლიოს რეიტინგის პირველი რიგიდან ჩამოაქვეითა.

„ამერიკელთა ყველაზე დიდი მიღწევა ფარიკაობაში იყო 1984 წელს ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე პეტერ ვასტერბრუკის მიერ მოპოვებული ბრინჯაოს მედალი — ამბობს ერინი — იმ წარმატებამ ამერიკაში ფარიკაობის ნამდვილი ბუმი გამოიწვია. ვიმედოვნებთ, ჩვენ ახლა შევძლებთ არა მხოლოდ ვასტერბრუკის წარმატების გამეორებას, არამედ იმ მიღწევის გაუმჯობესებასაც, რაც ამერიკაში ფარიკაობას ახალ სიმაღლეზე აიყვანს.“

ახლა კიტი და მისი და მსოფლიოს რეიტინგის ათ საუკეთესოთა შორის არიან და თავიანთ საათენო გეგმებს მაღიმალ ამზეურებენ.

ავთანდილ ბყვიშელი

ანტისადოპინგო კომიტეტის წევრი თავად ჩავარდა დოპინგზე!

დანიის ერთ-ერთი უძლიერესი მოცურავე ქალი მეტ იაკობსენი, რომელიც თავისი ქვეყნის ანტისადოპინგო კომიტეტის ერთ-ერთი წევრია, თავად ამხილეს აკრძალული ნივთიერების მიღებაში.

იაკობსენი მადრიდის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორია 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში და ათენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ლიცენზიაც ჯიბეში ედო, მაგრამ იგი ანტიასთმური საშუალების — „პრედნიზოლონის“ მიღებაში ამხილეს, რაც აკრძალულ ნივთიერაბას განეკუთვნება.

იაკობსენმა თავის ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ განაცხადა, რომ ეს წამალი ჩემი პირადი ექიმის რჩევით მივიღე, რადგან სტარტის წინ თავს ცოტა არ იყოს შეუძლოდ ვგრძნობდიო.

საათენოდ დანიის ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთი ხელმძღვანელი კარლ ოლსტი ფიქრობს, რომ მეტ იაკობსენი ვალდებულია თავისი ნებით ჩამოშორდეს ანტიდოპინგურ კომიტეტს.

ფეხმძიმობა და ოლიმპიური ციკლი

გერმანელი მშვილდოსანი კორნელია პფოლი ოლიმპიურ თამაშებს... თავის ფეხმძიმობას ამთხვევს. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე პფოლი რამდენიმე კვირის ფეხმძიმე გამოვიდა. ოლიმპიადის მერე მას შეეძინა გოგონა მარა, რომელიც ახლა სამი წლისაა, დედამისი კი ათენში საასპარეზოდ კვლავ ფეხმძიმედ მიემგზავრება. უფრო უცნაური ისაა, რომ ეს 33 წლის ქალი ახლა მეექვსე თვეშია. მისთვის ეს ოლიმპიური თამაშები მესამე იქნება, პირველი კი ატლანტაში იყო, სადაც ვერცხლის მედალი მოიპოვა.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

12-დან 30 აგვისტომდე ათენში იმუშავებს საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრესცენტრი.

ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ:
(30) 697 9061285

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲪᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲜᲐᲠᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ტერორისტებო, ციცი!
ეს დირიჟაბლი მთელ ათენს უყურებს



დაცვა, ყველგან დაცვა... ამბობენ, ათენის ყოველ ჯვალრატულ მეტრზე თითო პოლიციელი მოდისო

აჯი ჭაჯ როგი დღე-ღამეში 24 საათი მუშაობსო?!

არ მასვენებენ
ფოტოგრაფები

გაიღვიძე, მეგობარო, ოლიმპიადა ჯარს მოგადგა



ოლიმპიური ტრიო: არსენ კასაბიევი, ვანო გრიქუროვი და გიორგი ასანიძე

გრიქუროვი ასანიძეს დაგვიბრუნებს

ოლიმპიადაზე მიმავალმა ძალოსნებმა გიორგი ასანიძემ და არსენ ჯასაბიევმა გუშინ ვაჯის ძალოსნობის დარბაზში ივარჯიშეს. ნაკრების თავკაცი ვანო გრიქუროვიც იქვე ტრიალებდა, ხან ერთს შეუძახებდა, ხან მეორეს. პოლონეთის ოლიმპიური რეზერვების სკოლის ხელმძღვანელმა და იქაური ნაკრების ორი წევრის ინდივიდუალურმა მწვრთნელმა არჩევანი ქართველებზე გააკეთა და ათენშიც ხვალ თბილისიდან გაემგზავრება. საზღვარგარეთული კონტრაქტის თაობაზე ნერვიულობა ოლიმპიადის შემდეგ მოუწევს, თუმც პოლონეთის სათადარიგო ვარიანტები უკვე ბლომად ჰქონია...

— ჩემს პირად პრობლემებზე ბიჭებს არ ვესაუბრებოდი, მათ მოსამზადებელ ციკლზე უარყოფითი გავლენა რომ არ მომეხდინა. წლის დასაწყისიდან ჩემი მთავარი საფიქრალი ათენისთვის ასანიძისა და კასაბიევის უმაღლეს დონეზე მომზადება იყო და ვფიქრობ, ეს შევძელი, თუმც წინასწარ ლაპარაკი მაინც არ მინდა. პროგნოზის გაკეთება, მით უმეტეს ოლიმპიადაზე, რთულია.

— მაშასადამე ბიჭების დღევანდელი ფორმით კმაყოფილი ხართ?

— ჯერ კასაბიევზე გეტყვით: 17 წლის ხდება და თავის ასაკთან შედარებით ბრწყინვალე შედეგებს აჩვენებს. ჯერ ოლიმპიური მედლისთვის ბრძოლა არ შეუძლია, მაგრამ დღითი დღე უმატებს და წარმატებულ კარიერასაც მალე დაიწყებს. მომავალ ოლიმპიადაზე იგი აუცილებლად ოქროსთვის იბრძოლებს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ არსენი ათენში ჩასულ ძალოსნებში ყველაზე უმცროსი იქნება. გიორგი ასანიძე კი ჩვეულ ფორმასთან ძალიან ახლოსაა. ამ შვიდთვიანი მოსამზადებელი ეტაპის დროსაც აწუხებდა პატარ-პატარა ტრავმები, თუმც ისინიც დაძლია და დიდ სიმძიმეებსაც მიუბრუნდა. რეზერვი კიდევ არსებობს, დროც, ასე რომ, ვეცდებით, მაქსიმუმი გავაკეთოთ.

— პოლონეთში გიორგის სატურნირო ციებ-ცხელებაც ხომ არ გაახსენეთ?

— რამდენიმე ტურნირში კი გავიყვანე, მაგრამ დიდ სიმძიმეებს შეგნებულად მოვარიდე. ჯერ ერთი, არ გვინდოდა, გავშიფრულიყავით და მეორეც, დიდ სიმძიმესთან თამაში რისკთანაა დაკავშირებული. ეს რომ არ გაგვეთვალისწინებინა, ფორმის მაქსიმუმს აქამდეც მიაღწევდა. ჩემი პრინციპი ასეთია, საუკეთესო ფორმას საჭირო დროს უნდა მიაღწიო.

— დღევანდელ ვარჯიშზე ატაცში 150 კილომდე ავიდა, ეს არც ისე მაღალი შედეგია...

— თბილისში გუშინ საღამოს ჩამოვედით და მეტად თავად არ დავტვირთე. 180-მდე ასვლაც შეიძლება, ამის რეზერვიც არსებობს, თუმც სავსებით შესაძლებელია, ამხელა სიმძიმის აწევა ოლიმპიადაზე საჭიროც არ იყოს.

— ფიქრობთ, რომ მაღალი შედეგები არ იქნება?

— ეს ოლიმპიადა ალბათ ყველაზე სუფთა იქნება. უმეტეს კატეგორიაში შედარებით დაბალი შედეგები დაფიქსირდება. თუმც 2-3 წონაში რეკორდებს მაინც ველოდები.

— ბოლო ევროპის ჩემპიონატზე ასანიძე B ჯგუფში გაამწესეს. ეს კი მედლამდე მისვლის შანსს მინიმუმამდე ამცირებს. ათენშიც ასე ხომ არ მოხდება?

— ჯგუფებში გადანაწილება საერთაშორისო ფედერაციაში ძალოსნების მიერ გაგზავნილი განაცხადების მიხედვით ხდება. ყველა აგზავნის შედეგს, რომლის ჩვენებასაც აპირებს. შეჯიბრი კი იმ გაგზავნილ შედეგებზე მაქსიმუმ 20 კილოთი ნაკლებით უნდა დაიწყოს.

— გიორგიმ რა შედეგი გაგზავნა?

— 380 კილოგრამი. ჩვენი ვარაუდით, ეს A ჯგუფში მოსახვედრად საკმარისი უნდა იყოს, მაგრამ თუ შევცდით, კიდევ გვექნება მდგომარეობის გამოსწორების შანსი. 12 აგვისტოს ტექნიკური კონფერენციაა და საჭიროების შემთხვევაში იქ წონის მომატებას კიდევ შევძლებთ.

— ათენში პოლონეთის ნაკრებსაც ხომ არ მიუბრუნდებით, თუნდაც ცოტა ხნით?

— კონტრაქტი ამას არ მავალდებულებს, მაგრამ თუ მთხოვენ, დავეხმარები. ევროპის პრეზიდენტებს რობერტ დოლენგასა და გუგოუ კლეშჩს, სხვა თანამემამულეთაგან განსხვავებით ჩემი უკეთ ესმით და აშკარად გული დასწყდათ, მათი მომზადება რომ შევწყვიტე.

— მიუხედავად უთანხმოებისა, პოლონეთის ძალოსნობის ფედერაციასთან კონტრაქტი არ გაგიწყვეტიათ. არსებობს შანსი, რომ სიტუაცია ისევ სასიკეთოდ შეიცვალოს?

— ძნელი სათქმელია, ამჟამად ურთიერთობა მაქსიმალურადაა დაძაბული. ათენიდან თბილისში დავბრუნდები. 6 სექტემბერს კი მე და არსენი ერთად წავალთ პოლონეთში და მაშინ გადაწყდება საბოლოოდ, თუ რა სახით გაგრძელდება ჩემი კონტრაქტი, ან გაგრძელდება თუ არა საერთოდ.

— კასაბიევი რატომღა წამოვა, მისი გაპოლონელების საფრთხე ხომ არ არსებობს?

— არსენი უკვე სამი წელია, ჩემთან ცხოვრობს. საქართველოში რომ გამოვუშვა, დარწმუნებული ვარ, დიდი სპორტისთვის დაიკარგება. ცხინვალში საერთოდ ვერ ივარჯიშებს, თბილისში კი სახლი არა აქვს. რომც ჰქონდეს, პირობები არც აქ ვარგა. ჩემი კონტრაქტის ჩაშლის შემთხვევაში მისი მდგომარეობა უკიდურესად რთულდება. პოლონელები, ცხადია, ხედავენ ტალანტს და ალბათ მალე მოქალაქეობასაც შესთავაზებენ. არადა, ერთხელაც ვიტყვი, ეს ბიჭი უაღრესად პერსპექტიულია.

— თუ პოლონეთში აღარ დარჩით, რას აპირებთ?

— უკვე მაქვს სერიოზული წინადადებები. მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებიდან. მთავარ მწვრთნელობას მთავაზობენ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ ამ და ყველა ვარიანტს ისევ პოლონეთში დარჩენა მირჩევნია. ოჯახიც იქ მყავს და საქართველოსთვისაც მეტის გაკეთება შემიძლია.

ოთარ მაღლაკელიძე



გიორგი ასანიძე თანდათან ფორმას იბრუნებს

16-ის ერეკვნელი ბიჭი-ოლიმ შეიქნა არსენას ჯიდევ ვნახავთ

ცხინვალელი არსენ ჯასაბიევი ნოემბერში 17 წლის ხდება. ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში ჯადეტთა შორის ევროპის ჩემპიონატი გამოტოვა. არადა, ნორვეგიაში ჩემპიონმა ორჭიდის ჯამში 325 კილო დააგროვა, არსენი კი 362,5-ს ეწევა. დაახლოებით საათნახევრიანი ვარჯიში ისე მიიღია, სიტყვაც არ უთქვამს. მწვრთნელს სულ თვალებში უყურებს და მას ბრმად ენდობა. ვარჯიშის დასრულებისას რომ გამოველაპარაკე, მაშინაც გრიქუროვს გახედა, ალბათ ნებართვის ასალებად...

— ოლიმპიადისთვის მთელი სულით და გულით ვემზადები. განწყობაც, რაღა თქმა უნდა, საბრძოლოა. ვეცდები, ამჟამინდელი ფორმა მაქსიმალურად გამოვიყენო.

— პოლონეთის ნაკრებში გამოსვლა რომ შემოგთავაზონ, დათანხმდები?

— ამაზე ფიქრიც არ მინდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქაურობას ვერ მივატოვებ. ხანდახან ხუმრობით მეუბნებიან ხოლმე, თუმც სერიოზულად ჯერ არ მოუმართავთ. იმედია, არც მომმართავენ.

— ათენში შენი წონის უმთავრესი ფავორიტები ვინ იქნებიან?

— ალბათ ბულგარელი მილენ დობრევი და კახი კახიაშვილი. იგი ჩემი კერპია.



არსენ კასაბიევი ათენში ყველაზე ახალგაზრდა ძალოსანი იქნება

სექსი დიდ ჭადრაკში

მანაკოვამ ჭადრაკს გახალისებ ჰუგაჩოვამ ხი ხარჰოვს გაუკეთა

თუ ვინმე მოაწყობს კონკურსს „მის მსოფლიო ჭადრაკში“, მაშინ ამ პრიზს დიდი უპირატესობით მოსკოველი მარია მანაკოვა მოიპოვებს. მარია უკვე რამდენიმე წელია, რაც დიდ ჭადრაკში ტრიალებს, არის მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიადის პრიზიორი და ჟურნალისტებისგანაც უყურადღებობას არ უჩივის. შარშან მანაკოვამ კრეტაში მიმდინარე ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე შვიდი შესაძლებლობიდან ხუთი ქულა მოიხვეჭა, თუმც ამას ისეთი პოპულარობა არ მოუტანია, როგორც მის თამამ გამოსვლებსა და ინტერვიუებს. მარია ამჟამად უფრო ჟურნალისტიკითა და ტელევიზიითაა დაკავებული, მისი საყვარელი თემა კი „სექსი და ჭადრაკია“ და ფოტოაპარატის წინაშე გაშიშვლებასაც არ თაკილობს. მას რუსი ჟურნალისტი გაესაუბრა:

— ჭადრაკში თქვენ დიდოსტატი ბრძანდებით, სექსში როგორაა საქმე?

— ხალხს ჰგონია, რომ სექსის დიდოსტატი ვარ. ერთხელ ვთქვი, ქალი ყოველთვის ქალი უნდა იყოს — სახლში, სამუშაოზე, სექსსა და საჭადრაკო დაფასთან. ჭადრაკის მოთამაშე ქალები კი მეტწილად ცხოვრების დიდ ნაწილს ამ სპორტს უძღვნიან და თავისუფალი დრო არა რჩებათ, მათ სექსისთვისაც არ სცალიათ-მეთქი. ალბათ, ჩემს ამ სიტყვებს მოჰყვა ამხელა რეზონანსი.

— თქვენ უფრო ფოტომოდელი ხართ, ვიდრე დიდოსტატი...

— ბევრს არ სჯერა, რომ მსოფლიოს პირველობებზე მითამაშია. ბევრ ადამიანს გაუჩნდა სტერეოტიპი, რომ თითქოს მოჭადრაკე თავის თავში ჩაკეტილი ადამიანია და თავში მხოლოდ მხედრები და კუები უტრიალებს. ამიტომაც დარბაზში, სადაც ისინი თამაშობენ, გულშემატკივრები არც შედიან.

— შეიცვლება რაიმე, როცა ეს ჭკვიანი ქალბატონები სექსითაც დაკავდებიან?

— თუ მოჭადრაკე ქალები უფრო მომხიბვლელები და სექსუალურები იქნებიან, ბევრი რამ შეიცვლება. მაყურებლები და ჟურნალისტები მათ მეტ ყურადღებას დაუთმობენ. ეს კი ჭადრაკს უფრო პოპულარულს გახდის. ეს აქამდეც მოხდებოდა, ჩვენ რომ უფრო ყოჩაღები ვყოფილიყავით და შესაძლოა უკვე საკუთარი ანა კურნიკოვაც გვყოლოდა.

— თქვენი კოლეგა მანდილოსნები თუ გეთანხმებიან?

— ბოლო წლებში მათ ცნობიერებაში მრავალი რამ შეიცვალა, მაგრამ უმეტესობა ჯერ კიდევ არ არის მზად სექსუალური რევოლუციისთვის. ისინი ფიქრობენ, რომ ჭადრაკი ინტელექტუალური სპორტია და სავჭრო საქონელი არ უნდა გახდეს. მე მათ არ ვეთანხმები. ჩვენ არც ისე ძლიერები ვართ, როგორ მამაკაცი მოჭადრაკეები. მაშ, რატომ არ უნდა ვისარგებლოთ ჩვენი მშვენიერებით? არ მეთანხმებით?

— რა შეგიძლიათ, თქვათ მოჭადრაკის პირად ცხოვრებაზე?

— ბევრი მათგანი გათხოვილია, ჰყავს შვილი და თითქმის ვერ ხედავს ქმარს. იგივე პრობლემა აწუხებთ მამაკაცებს. ამიტომაც ხშირად ხდება „საჭადრაკო შეუღლება“, შემდეგ ორივე ერთად დადიან ტურნირებზე და ერთად ემზადებიან. ერთმა დიდოსტატმა განცხადებაც გამოაკრა: „ვეძებ ცოლს, მოჭადრაკეს, კარგი რეიტინგით“. როცა მას ჰკითხეს, რატომ მოიქცა ასე, უპასუხა, მასთან სალაპარაკო თემა რომ მქონდაო. იპოვა კიდეც მალე გულის სწორი და ახლა 10 წლის ვაჟი ჰყავთ.

— და ბევრია ბედნიერი საჭადრაკო წყვილი?

— განა ბევრია არამოჭადრაკე ბედნიერი წყვილი?

— თქვენ ტურნირებზე ხშირად დაგყვებათ მეუღლე, ანუ გვერდით ყოველთვის გყავთ სექსუალური პარტნიორი?..

— ჩვენ ხშირად ვთამაშობთ ერთად და არა მარტო ჭადრაკს. შეიძლება, ეს არის მიზეზი რომ ვერასდროს შევწვდი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს, მაგრამ მეორეს მხრივ მქონდა სიამოვნება, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩემთვის.

— სიყვარულის გამო გოგონები ანებებენ თუ არა ჭადრაკის თამაშს თავს და ოჯახურ ცხოვრებას ირჩევენ?

— თამაში სახიფათოა და მან შეიძლება ისე გაგიტაცოს, რომ მამაკაცის სიყვარული დაგავიწყოს. უნგრელ დიდოსტატ იუდიტ პოლგარს ჰკითხეს: „რას გრძნობთ, როცა დიდოსტატ მამაკაცს უგებთ?“ „დაფასთან ჩემთვის ყველა ერთია, ქალიც და კაციც, მათ უბრალოდ, არც ვუყურებ“ — იყო პასუხი. „თუ თქვენი საქმრო არჩევანის წინაშე დაგაყენებთ, ან მე და ან ჭადრაკიო, რას იზამთ?“ „ასეთ კაცს არავითარი შანსი არა აქვს.“

— მარია, რას ფიქრობთ, დიდოსტატებს შორის არიან ნამდვილი მამაკაცები? მაგალითად, კასპაროვი, კარპოვი, და კრამნიკი...

— მიზიდავს ქარიზმატული ხალხი და მათში პლანეტის უდიდესი მოჭადრაკე კასპაროვი ლიდერობს. ის ძალიან მიმზიდველია და მისი ენერგია დიდ ეფექტს ახდენს გარშემო მყოფებზე. მიმზიდველია ანატოლი კარპოვიც, თუმც ალბათ აქ გემოვნებამ მიმტყუნა. მაგრამ აი ვლადიმერ კრამნიკი საერთოდ არ მაინტერესებს. იგი პიონერივით იქცევა და არც ცუდია და არც კარგი. როცა მან კასპაროვს მსოფლიოს ჩემპიონობა წაართვა, წაგებულს მატჩრევანში აღარ შესთავაზა. მას უბრალოდ შეეშინდა და ასეთი მამაკაცი არასოდეს დამაინტერესებს.

— ბევრი მამაკაცი ჭადრაკს თამაშობს, ბევრიც გულშემატკივრობს. მანდილოსნებს შორის თუ არიან ასეთები?

— კი და მათ შორის გამოსარჩევია ალა პუგაჩოვა. მსოფლიოს პირველობის მატჩში კასპაროვ — კარპოვის შეხვედრის დროს იგი ყოველთვის დარბაზში იყო და გარის ქომაგობდა. თან იხუმრა კიდეც: მე კარპოვს ჰიპნოზს ვუკეთებ, მხედრით სხვა მხარეს რომ წავიდესო.

— რატომ უთმობენ ქალები მამაკაცებს პარტიებს?

— ერთმა გონიერმა დიდოსტატმა პაულ კერესმა თქვა: „ქალს არ შეუძლია ხუთი საათი გაძლოს დაფასთან ისე, რომ სიტყვა არ დაძრას.“

— რაიმე ანეკდოტს ხომ არ გვეტყოდით ჭადრაკზე?

— რატომაც არა. ერთმა მომხიბვლელმა გოგონამ დიდოსტატი ბიჭი შინ დაპატიჟა. მათ ბევრი ილაპარაკეს ამინდზე და პოლიტიკაზე, ხოლო როცა სასაუბრო თემა შემოელიათ, ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. სტუმრის გასამხნევებლად გოგომ დაიწყო: „ძვირფასო, რას აკეთებ ხოლმე როცა გოგოსთან მარტო რჩები და სასაუბრო აღარაფერი გაქვს?“ ბიჭი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მიხვდა გოგოს რაც სურდა, ხელი შარვლისკენ წაიყო, იქიდან... პატარა ჭადრაკი დააძრო და გოგოს საინტერესო პოზიციები აუხსნა.

ლაშა გეგეჭკორი

ქართული სპორტის ფოტოისტორია

ასე ჰქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, აღიწერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვიწვევთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონაწილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.

ჩვეული შესკდომა

ასეა ხოლმე ბეისბოლში, როცა მძლავრად ტეტდაკრულ ბურთხვა-ედევნები, ის მოედნის საზღვარს გადაუფრენს, შენ ვი დამცავ კი-დელს უნდა შეასკდე. „ოკლენდელი“ ბობი ვიტლიტ ბოგვარადფი-ქრობდა „მინესოტელი“ ჯოზე ოფერმანის დაკრულის დაჭერას.

REUTERS ინდიანაპოლისიდან

მაიმუნობა

ისევე, როგორც ყველა სხვამ, სამხრეთ კორეამაც გაგ ზავნა გუ-ნდი ათენის ოლიმპიადაზე. სეულის შორიახლო, იონგინის ზო-ოპარკში კი გუშინ ოლიმპიური წარმოდგენა გაიმართა, რომე-ლშიაც ორანგუტანგები მონაწილეობდნენ. მაიმუნებს ბერძნუ-ლი ღმერთებივით ემოსათ და სამხრეთ კორეის დროშებს იქ-ნევდნენ. კარგი მაიმუნობა იყო.

REUTERS იონგინიდან

პეპსის ელჩობა

რონალდინიო ჩინეთში გახლავთ, ვითარცა „პეპსის“ საფეხბურთო ელჩი და გუანჯოაში ათიათასობით ფეხბურთის მოყვარულს ისე წარუდგება, როგორც მოსასხამით შემკული ფეხბურთის ღმერთი. თუმცა, მარტო ლიმუზინით ჩასეირნება და ღმერთობანას თამაში საქმეს არ ეყოფა: ბიჭები თავიანთ ტექნიკას უჩვენებენ ვარსკვლავს, ის კი თავისას ასწავლის.

კოცნა

REUTERS ინდიანაპოლისიდან

ინდიანაპოლისის ჩქაროსნული გზის ფილაქანს ჰაოცნიან რიჯ ჰენდრიჯი და ჯეფ გორდონმი (სათვალით). ეს წუთია გორდონმა ამ გზაზე მოიგო ბრიჯიარდ 400-ის ავტორბოლა, მისი მანქანის პატრონი ჯი ჰენდრიჯი გახლავთ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხოშერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge